დღეს იხსნება რუსული პოეზიის დეკადა

მხურვალე სალამი რუსული პოეზიის ოსტატებს!

ПЛАМЕННЫЙ ПРИВЕТ мастерам русской поэзии, нашим дорогим друзьям!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 140 (12348)

შაბათი, 16 ივნისი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

გამარჯობა, საქართველოვ, ძმობის, შრომისა და სილამაზის მხარევ! — ამგოგენ რუსი მეგობრები.



საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს

მიმართვა

კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, მეცნიერებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა მუშაკებს, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კომუნისტებსა და კომკავშირელებს, სოფლის ყველა მშრომელს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ამას წინათ მიიღეს გადაწყვეტილება ხორცისა და კარაქის შესასყიდი ფასების გადიდების შესახებ. ეს დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება განხორციელდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების სწრაფად გადიდების ინტერესებისათვის. პარტია და მთავრობა დარწმუნებული იყვნენ, რომ მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია შეიგნებდნენ ამ გადაწყვეტილების მთელ საჭიროებას და მოიწონებდნენ მას. ასეც მოიქცნენ ჩვენი ქვეყნის მშრომელები. საბჭოთა ადამიანებმა მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება და გამოთქვეს იმედი, რომ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები ხალხის მხარდაჭერით შეძლებენ უფრო სრულად გამოიყენონ თავიანთი შესაძლებლობანი და მკვეთრად გაადიდებენ ხორცისა და რძის წარმოებას, რაც შესაძლებლობას მოგვცემს უზრუნველყოთ ამ პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის, ღორის, ცხვრისა და ფრინველის ხორცის შესასყიდი ფასების გადიდება საშუალოდ 35 პროცენტით კოლმეურნეობებს მათი შემოსავლის დამატებით მისცემს ერთ მილიარდ მანეთზე მეტს ახალი ფასეულით, ანუ 10 მილიარდ მანეთზე მეტს ძველი ფულით. ეს, ძვირფასო ამხანაგებო, საკოლმეურნეო წყობილების დიდი მხარდაჭერაა. უკეთ რომ წარმოვიდგინოთ ამ ციფრის მნიშვნელობა, შეიძლება გავიხსენოთ, რომ 1953 წელს კოლმეურნეობათა შემოსავალი სოფლის მეურნეობის ყველა დარგიდან შეადგენდა 50 მილიარდ მანეთზე ნაკლებს. ახლა კი მარტო ხორცის შესასყიდი ფასების გადიდებით კოლმეურნეობები მიიღებენ 10 მილიარდ მანეთზე მეტს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ ხაზგასმით აღნიშნონ, რომ ხორცისა და კარაქის შესასყიდი ფასების გადიდება მხოლოდ ნაწილია იმ მატერიალური დახმარებისა, რაც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ეწევათ.

საბჭოთა სოფლის მშრომელებმა კარგად იციან, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებას შეუნელებელ ყურადღებას აქცევენ მთელი პარტია და საბჭოთა ხალხი. გარდა იმისა, რომ იზრდება ბიუჯეტით გარკვეული ასიგნებანი, კოლმეურნეობები იღებენ მნიშვნელოვან დამატებით სახსრებს მანქანებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის ფასების შემცირების გზით.

გასულ წელს შემცირდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სათადარიგო ნაწილების, საწვავის ფასები და დაწესდა შეღავათები საშემოსავლო გადასახადზე. ეს კოლმეურნეობებს ერთ წელზე გაანგარიშებით აძლევს 900 მილიონ მანეთ ეკონომიას. მიმდინარე წლის დამდეგს საბჭოთა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება შეემცირებინა კოლმეურნეობებისათვის საშენი მასალების, ლითონისა და ლითონის ნაკეთობათა ფასები, რაც აძლევს მათ 250 მილიონ მანეთ ეკონომიას წელიწადში. ამას გარდა, საბჭოთა მეურნეობებმა მიიღეს დამატებითი ასიგნებანი კაპიტალური მშენებლობისათვის მეცხოველეობაში 210 მილიონი მანეთის ოდენობით. მაშასადამე, აღნიშნული მასალების ფასების შემცირებისა და მეცხოველეობის საჭიროებისათვის დამატებით ასიგნებათა გზით სოფლის მეურნეობა ეგემით დასახული სახსრების გადამეტებით იღებს 1 მილიარდ 360 მილიონ მანეთს (13 მილიარდ 600 მილიონ მანეთს ძველი ფულით).

იმ პირობებში, როცა ჩვენი ქვეყანა ახორციელებს კომუნისტური მშენებლობის გიგანტურ პროგრამას, გამატკიცებს თავდაცვას, ადვილი როდი იყო გამოგვენახა სოფლის მეურნეობისათვის დამატებით მილიარდობით მანეთი. მაგრამ ჩვენმა სახელმწიფომ, პარტიამ, ჩვენმა ხალხმა გამონახეს შესაძლებლობა გამოეყოთ ეს სახსრები. მუშები, მოსამსახურეები, საბჭოთა ინტელიგენცია დათანხმდნენ, რომ გამოეყოთ ფულის ნაწილი თავიანთი ოჯახის ბიუჯეტიდანაც კი და გაედიდებინათ დახმარება სოფლის მეურნეობისადმი, უზრუნველეყოთ უკეთესი პირობები ფერმების მშენებლობისა და მექანიზაციისათვის, მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის, გაედიდებინათ მეცხოველეობის მუშაკთა მატერიალური დაინტერესება თავიანთი შრომის შედეგებით, რაც საბოლოო ანგარიშით ხელს შეუწყობს ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების სწრაფ ზრდას. დახმარება, რომელსაც სახელმწიფო, მთელი ჩვენი ხალხი უწევენ სოფლის მეურნეობას, მნიშვნელოვანი, საგრძნობია, და მან რეალური ნაყოფი უნდა გამოიღოს.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ ახლა, როცა გადიდდა ხორცის შესასყიდი ფასები, შემცირდა მანქანების, საწვავის, სათადარიგო ნაწილების ფასები, მეცხოველეობა ერთბაშად რენტაბელური გახდება და განსაკუთრებულ ღონისძიებათა მიუღებლად საქმე სწრაფად წავა წინ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის მუშაკთა შორის ბევრია ისეთი, ვინც კოლმეურნეობათა ეკონომიკის ზრდას, პროდუქტების წარმოების გადიდებას მხოლოდ შესასყიდ ფასებს უკავშირებს. რა თქმა უნდა, შესასყიდი ფასების დონე მცირე როლს როდი ასრულებს წარმოებისათვის მატერიალური სტიმულის მიცემაში. მაგრამ იმედის მარტოოდენ მაღალ შესასყიდ ფასებზე დამყარება ნიშნავს დავიწყოთ წარმოების სხვა გადამწყვეტი ფაქტორები, დავკარგოთ სოფლის მეურნეობის განვითარების პერსპექტივა.

ასეთ განწყობილებებს შეუძლიათ სერიოზული ზარალი მიაყენონ კოლმეურნეობებს, შეაფერხონ იმ გადაუდებელი ამოცანების გადაჭრა, რომლებიც პარტიამ სოფლის მეურნეობის დარგში დასახა.

არ შეიძლება ეს დავუშვათ. ხალხი ვერ გაიგებს, თუ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ვერ შეძლებენ გონივრულად გამოიყენონ გაწეული დახმარება, თუ ისინი სწრაფად არ აამოქმედებენ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების რეზერვებს.

ამიტომ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტეს მიმართონ კოლმეურნეებსა და საბჭოთა მეურნეობების მუშებს, მექანიზატორებს, სპეციალისტებსა და მეცნიერებს. კომუნისტებსა და კომკავშირელებს, სოფლის ყველა მშრომელს და გულახდილად მოელაპარაკონ მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობის უაღრესად გადაუდებელ საკითხებზე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უწინარეს ყოვლისა საჭიროდ მიაჩნიათ, რომ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ხელმძღვანელებმა, ყველა მშრომელმა შეიმუშაონ ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების კონკრეტული გეგმა. ამასთან გაითვალისწინონ ამაჟამად შექმნილი ახალი შესაძლებლობანი.

ამ გეგმას საფუძვლად უნდა დაედოს იმ ამოცანის გადაჭრა, რომ აიღონ პირველი მიჯნა ხორცის წარმოებაში, აწარმოონ 75 ცენტნერი ხორცი 100 ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი 100 ჰექტარ სხვა სავარგულებზე. ხოლო იმ მეურნეობებმა, რომლებმაც უკვე მიაღწიეს ამ დონეს, უნდა განაგრძონ წინსვლა, მეორე და მესამე ეტაპებისაკენ — აწარმოონ 100 და 150 ცენტნერი ხორცი ას ჰექტარ სახნავზე.

რას ნიშნავს გვქონდეს ხორცის წარმოების გადიდების კონკრეტული გეგმა? ეს ნიშნავს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები, საწარმოო სამმართველოთა მუშაკები კოლმეურნეებთან და საბჭოთა მეურნეობების მუშებთან ერთად ღრმად უნდა გაერკვნენ მეურნეობის შესაძლებლობებში, დასახონ, რა უნდა გაკეთდეს მიმდინარე წლის ივლისში, აგვისტოსა და შემდგომ თვეებში, რა უნდა გაკეთდეს 1963 წელს. საჭიროა გავიანგარიშოთ, როდის იქნება აღებული პირველი მიჯნა ხორცის წარმოებაში, ესე იგი 75 ცენტნერი 100 ჰექტარ სახნავზე და 16 ცენტნერი ას ჰექტარ სხვა სავარგულებზე, პირუტყვის რა მაქსიმალური სულადობა შეიძლება გასუქდეს წელს და მომავალ წელს, რამდენი და რა საკვები იქნება საჭირო ამისათვის, დადგინდეს, კონკრეტულად ვინ აგებს პასუხს საკვების წარმოებისათვის. სოფლის მეურნეობის მუშაკებს მტკიცედ უნდა ახსოვდეთ, რომ მეცხოველეობის დარგის გაანგარიშებანი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს რეალური, თუ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას საკმარისად ექნება საკვები.

იაფი საკვები და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია მეცხოველეობაში ბევრი იაფი ხორცისა და რძის მიღების საფუძველია. მხოლოდ მაშინ, თუ საკვები საკმაო რაოდენობით არის, შეიძლება უზრუნველყოთ ხორცისა და რძის თვითღირებულების შემცირება, გავადიდოთ მათი წარმოება, გავადიდოთ კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი. კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა უნდა შეიგნონ, რომ თუ მათ მიერ წარმოებული მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულება ახლანდელ დონეზე დარჩება, ყველაზე მაღალი შესასყიდი ფასებიც კი ვერ მოგვცემს ჯეროვან ეფექტს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მეცხოველეობა ზოგიერთ კოლმეურნეობაში ამჟამად იმდენად დაბალ დონეზეა, ხოლო ხორცის წარმოებისათვის შრომისა და საკვების დანახარჯები იმდენად დიდია, რომ მათ ვერ ფარავს ვერც ახალი შესასყიდი ფასები.

იბადება კითხვა, სად არის გამოსავალი? იგი უნდა ვეძებოთ მხოლოდ ერთ გზაზე — კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების გზაზე, იაფი საკვების მიღებისა და ფერმების მექანიზაციის გზაზე.

სწორედ ასეთ გზას ადგანან მოწინავე მეურნეობები. ამჟამად მოქმედი შესასყიდი ფასები კოლმეურნეობებს მეცხოველეობისაგან დიდი შემოსავლის მიღების დიდ შესაძლებლობებს უქმნიან. გასაგებია, რომ რაც უფრო დაბალია ხორცისა და რძის თვითღირებულება, მით უფრო დიდ ეფექტს მოგვცემს ახალი შესასყიდი ფასები.

აი ამიტომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოგმართავენ თქვენ, სოფლის მშრომელებს, და გეუბნებიან: შესასყიდი ფასების გადიდება არათუ არ ანელებს მეცხოველეობის პროდუქტების თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის მთელ აქტუალობას, არამედ, პირიქით სახავს, როგორც ყველაზე დიდმნიშვნელოვან და ყველაზე გადაუდებელ ამოცანას, რომ შემცირდეს ცენტნერი ხორცისა და რძის წარმოებისათვის შრომისა და სახსრების დანახარჯები.

მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში საჭიროა უკეთ გამოვიყენოთ იმ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება, რომლებიც უნარიანად წარმართავენ საზოგადოებრივ მეცხოველეობას.

ზაპოროჟიეს ოლქის ვასილიევკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „პერემოგას“ ჰყავს 63 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე და წლითიწლობით ზრდის ხორცისა და რძის წარმოებას. იმის შედეგად, რომ პირუტყვს აქ იაფი სიმინდის სილოსით კვებავენ, ფართოდ იყენებენ მექანიზაციას ფერმებში, ერთი ცენტნერი რძის თვითღირებულებამ 1961 წელს შეადგინა მხოლოდ 6 მანეთი და 88 კაპიკი, ხოლო ჩაბარების ფასი 10 მანეთი და 60 კაპიკია. საბჭოთა მეურნეობამ ყოველ ცენტნერ რძეში მიიღო 4 მანეთამდე მოგება, ხოლო მთლიანად მეცხოველეობამ მეურნეობას მისცა 153 ათასი მანეთი მოგება.

კრასნოდარის მხარის ტიმაშევსკაიას რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კუბანეცმა“ ას ჰექტარ სახნავზე შარშან აწარმოა 209 ცენტნერი ღორის ხორცი და წონაში ცენტნერის მატების თვითღირებულება იყო 60 მანეთი და 10 კაპიკი. როსტოვის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტში“ წონაში ცენტნერი ღორის ხორცის მატების თვითღირებულებამ შეადგინა 62 მანეთი და 44 კაპიკი.

(დასასრული მე-2 გვერდზე)

გზა მშვიდობისა!

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაემგზავრა

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს მიწვევით 15 ივნისს მოსკოვიდან ბუქარესტს მეგობრობის ვიზიტად გაემგზავრა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. ვ. ანდროპოვი, მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ი. ბოდიუული, უკრაინის კომპარტიის რადესის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მ. ს. სინიცა, აგრეთვე დაღესტნის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ა. ელდაროვა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი, საბჭოთა კავშირ-რუმინეთის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ე. ი. აფანასენკო და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთის სახალხო რესპუბლიკაში ი. კ. ძეგალინი, რომელიც დელეგაციას შეუერთდება რუმინეთში.

კიევის ვაგზალში, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანამგზავრები გააცილეს ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, გ. ი. ვორონოვმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, ო. ვ. კუუსინენმა, ა. ი. მიკოიანმა, ნ. ვ. პოდგორნიმ, მ. ა. სუსლოვმა, ნ. მ. შვერნიკმა, შ. რ. რაშიდოვმა, კ. ტ. მაზუროვმა, ვ. ვ. შჩერბიცკიმ, პ. ნ. დემიჩევმა, ლ. თ. ილიჩოვმა, ბ. ნ. პონომარიოვმა და სხვებმა, აგრეთვე მოსკოვის მშრომელთა მრავალმა წარმომადგენელმა.

ვაგზალში იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები. რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს დიპლომატიური შემადგენლობა, რუმინელი სტუდენტები, რომლებიც დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები. (საკდესი).



ჩვენი მეგობრობა ჩვენი სიმდიდრეა

— ამგოგენ დეკადის მონაწილენი

გუშინ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდნენ რუსული პოეზიის დეკადის მონაწილენი — გამოჩენილი რუსი საბჭოთა პოეტები ალექსეი სურკოვი, ევგენი დოლმატოვსკი, სერგეი ვასილიევი, ალექსანდრე მეჟეროვი, ნიკოლოზ რილენკოვი, ვლადიმერ სოლოუხინი, ილია სინიაკოვი (ნოვოსიბირსკი), არსენ ტარკოვსკი, ოლეგ შესტინსკი (ლენინგრადი), იუნა მორიცი, ნიკოლოზ დორიზო. დღეს ჩამოფრინდება ვიქტორ ბოგოვი.

„კომუნისტის“ კორესპონდენტმა სთხოვა დეკადის მონაწილე ძვირფას სტუმრებს — ალექსეი სურკოვს, სერგეი ვასილიევს, ნიკოლოზ რილენკოვსა და ვლადიმერ სოლოუხინს გამოეთქვათ თავიანთი აზრი პოეზიის ამ დიდ დღესასწაულზე, ძმობისა და სიყვარულის დღესასწაულზე.

აი რა დაწერეს ძვირფასმა სტუმრებმა...



ალექსეი სურკოვი

რუსული საბჭოთა პოეზიის დეკადამ, რომელიც დღეს იხსნება, კიდევ ერთი ფურცელი უნდა ჩასწეროს ჩვენი მოძმე ხალხების მეგობრობის ოქროს წიგნში, კიდევ ერთი რგოლი უნდა გახდეს რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის სულიერი კავშირის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში.

დიდმა კულტურულმა რევოლუციამ საქართველოს სახელოვანი შვილების გურამიშვილისა და ბარათაშვილის, ჭავჭავაძისა და წერეთლის, ვაჟა-ფშაველას და ჩვენი თანამედროვე ქართველი საბჭოთა პოეტების შემოქმედება პოეზიის მილიონობით მოყვარულთა კეთილგანწყობა გახადა, რომლებიც ლექსებს რუსულ ენაზე თარგმნილს კითხულობენ. სწორედ ასევე საქართველოში მკითხველთათვის მისაწვდომი გახდა რუსი კლასიკოსი და თანამედროვე პოეტების ქმნილებანი.

Кланяюсь вам, друзья-поэты, будем продолжителями наших славных традиций и я, как и всегда, с радостью передаю привет „Коммунисту“ Передовой газете Грузинских трудящихся. Русский стих в Советской Грузии. Алексей Сурков

ახლანდელი დეკადა ამ სახელოვანი ტრადიციის გაგრძელება იქნება, და მე დეკადის ყველა მონაწილის სახელით გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებიდან გულითად ძმურ სალამს ვუძღვნი რუსული ლექსის მკითხველებს საბჭოთა საქართველოში.

☆

ნიკოლოზ რილენკოვი

მე პირველად ჩამოვიდი საქართველოში, მაგრამ ვიცნობდი ამ შესანიშნავ ქვეყანას და მიყვარდა იგი ბავშვობიდან, სკოლის წლებიდან, მიყვარდა და ვიცოდი პუშკინისა და ლერმონტოვის ლექსების მიხედვით. შემდეგ შემიყვარდა ქართული პოეზია, რომელიც უფრო და უფრო მეტად მხიბლავდა.

და აი ახლა უდიდესი სიხარულით ჩამოვიდი პოეზიის ქვეყანაში. რუსი და ქართველი პოეტების მეგობრობა ყველა ჩვენთაგანის სიმდიდრეა.

სერგეი ვასილიევი

მე, დაბადებით იმერეთელი, ჩრდილოეთის კაცი, მოხარული და ბედნიერი ვარ ვიხილო თბილისი — სითბოს, პოეზიისა და სტუმართმოყვარეობის ქალაქი. დიდი ხანია მიზიდავდა საქართველო — შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის ქვეყანა.

ეჭვი არ მეპარება — თქვენს მზიურ მხარეს რომ ვიხილავ, რუსეთში წამყვება კეთილი მოგონებანი.

მიხარია და მივესალმები თბილისის მცხოვრებთ.

ვლადიმერ სოლოუხინი

გამარჯობა საქართველო!

ბედნიერი ვარ ერთხელ კიდევ ვიხილო ეს მხარე, იმიტომ რომ მიყვარს მისი სილამაზე, მისი კულტურა, მისი ხალხი, მისი ხანდაზმულობა და ახალგაზრდობა, მისი კეთილი და ვაჟკაცური გული, კეთილი როგორც პოეტის გული და ვაჟკაცური როგორც მეომრის გული.

გამარჯობა, საქართველო!



სურათზე: შეხვედრა თბილისის სადგურში. მარცხნიდან — ირაკლი აბაშიძე, ნიკოლოზ დორიზო, ალექსეი სურკოვი, გიორგი ლეონიძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა

(დასასრული)

ხმელნიცკის ოლქის დუნაევცის რაიონის კოლმეურნეობა „უკრაინაში“ კარგად არის მოწყობილი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გასუქება. ხორცის წარმოებამ 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 1961 წელს შეადგინა დაახლოებით 60 ცენტნერი (დაკლული წონით), ხოლო წონაში ცენტნერი მატების თვითღირებულება იყო 65 მანეთი და 32 კაპიკი. მიმდინარე წლის ხუთ თვეში კოლმეურნეობამ გაასუქა და სახელმწიფოს მიჰყიდა 1.440 მოზვერი, თვითეული საშუალოდ დაახლოებით 280 კილოგრამი წონისა.

შეიძლება მოვიყვანოთ მსგავსი მაგალითები ჩვენი ქვეყნის სხვა რაიონებშიც. სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ახალი შესასყიდი ფასების დროს ჩვენი ქვეყნის თვითეულ ზონაში შეიძლება გვქონდეს რენტაბელური მეცხოველეობა, ვაწარმოოთ მეტი ხორცი და რძე. მაგრამ ამისათვის საჭიროა უფრო სრულად გამოვიყენოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მთელი შესაძლებლობანი.

რა არის მთავარი ხორცისა და რძის წარმოების გადიდებისა და ამ პროდუქტების თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლაში?

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უკვე არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ მეცხოველეობაში მთავარია საკვები. იქნება საკვები — იქნება პირუტყვიც, იქნება ხორციც და რძეც. ამას მოწმობს მოწინავე მეურნეობათა მაგალითიც.

კუტრკის ოლქის სოფელ კალინოვკის კოლმეურნეობამ გასულ წელს მიიღო 76 ცენტნერი ხორცი დაკლული წონით ას ჰექტარ სახნავზე და 17 ცენტნერი ას ჰექტარ სხვა სავარგულებიდან. მიმდინარე წელს კოლმეურნეობა აწარმოებს 91 ცენტნერ ხორცს ას ჰექტარ სახნავზე და 19 ცენტნერს ას ჰექტარ სხვა სავარგულებზე. შარშან ას ჰექტარ მიწაზე წარმოებულია 527 ცენტნერი რძე. წელს კოლმეურნეობა აწარმოებს 575 ცენტნერ რძეს ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე.

ეს წარმატებანი მიღწეულია უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ კოლმეურნეობას სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და სხვა ძვირფასი კულტურების თესვის მეთხებრივ საკმარისად ჰქონდა საკვები. მიმდინარე წელს კოლმეურნეობამ სიმინდი დათესა სახნავი მიწის 20 პროცენტზე, პირუტყვის საკვებად დათესა 248 ჰექტარი შაქრის ჭარხალი, 60 ჰექტარი სტაფილო, 256 ჰექტარი საკვები პარკოსნები. ბარდა არტელში დათესილია 322 ჰექტარზე. კოლმეურნეები იბრძვიან იმისათვის, რომ ჰექტარზე მოიყვანონ 700 ცენტნერი ტაროიანი სიმინდის მწვანე მასის მოსავალი, 350 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 270 ცენტნერი სტაფილო, 24 ცენტნერი საკვები პარკოსნები მარცვლად. ეს შესაძლებლობას მისცემს საკვები კულტურებით დაკავებულ თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ სულ ცოტა 9-9,5 ათასი საკვები ერთეული.

საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ანგარიშობდნენ, თუ რამდენ საკვებ ერთეულს იღებს მეურნეობა ჰექტარ სახნავზე, რომელი კულტურა იძლევა საკვების უფრო მეტ რაოდენობას გაწეულ შრომაზე. მხოლოდ ასეთი მიდგომით შეიძლება ჯეროვნად შეგაფასოთ სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბარდისა და სხვა ძვირფასი კულტურების მნიშვნელობა, რომლებიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნამდვილი სიმდიდრეა.

სოფლის მშრომელებმა კარგად იშრომეს წლეგანდელ გაზაფხულზე. ბევრმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ, რომლებიც ახორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, გადასინჯა ნათესი ფართობების სტრუქტურა, მტკიცედ ახდენს ნათესბალახიანი სისტემის შედეგების ლიკვიდაციას.

მიმდინარე წელს ჩვენს ქვეყანაში სიმინდს უჭირავს 34 მილიონ ჰექტარზე მეტი — 10,7 მილიონ ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან. 8 მილიონ 590 ათას ჰექტარზე მოყვანილი იქნება სამარცვლე სიმინდი. პირუტყვის საკვებად დათესილია 2 მილიონ 680 ათასი ჰექტარი შაქრის ჭარხალი — 2,2-ჯერ მეტი, ვიდრე 1961 წელს. დათესილია 4,5 მილიონი ჰექტარი ბარდა და 700 ათას ჰექტარზე მეტი პარკოსნები.

ეს, რა თქმა უნდა, კარგი. მაგრამ თავისთავად ნათესი ფართობების გადიდება ჯერ კიდევ ვერ წყვეტს საკვების საკმარისი რაოდენობის დაგროვების ამოცანას. შეიძლება დავთესოთ ბევრი სიმინდი, მაგრამ თუ მისი მოსავალი ჰექტარზე იქნება 100-120 ცენტნერი სასილოსე მასა, როგორც ეს მოხდა წარსულ წლებში მთელ რიგ ოლქებში, არ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ საკვები უხვად გვექნება. ამიტომ ახლა ტაროიანი სიმინდის, შაქრის ჭარხლის, სტაფილოს, ბარდის, საკვები პარკოსნების უხვი მოსავლის მოყვანა თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. პარტიულმა ორგანიზაციებმა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა, სპეციალისტებმა კარგად უნდა იმუშაონ ადამიანებთან, რათა ყველა კოლმეურნემ, საბჭოთა მეურნეობების ყველა მუშამ შეიგნოს, რომ მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობა დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა მარცვლეულის წარმოების გადიდებაზე, სიმინდის, შაქრის ჭარხლის, პარკოსნებისა და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მიღებაზე.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალურ თათბირებზე მოიყვანეს გაანგარიშებანი, თუ რამდენი საკვებია საჭირო მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში დასახული მიჯნების მისაღწევად. ახლა საკვების წარმოების გადიდების გაანგარიშებანი პრაქტიკულად უნდა განხორციელდეს თვითეულ მეურნეობაში.

ჩვენი ქვეყნის მეტ წილ რაიონებში ხელსაყრელი პირობები იქმნება სიმინდის, შაქრის ჭარხლისა და სხვა კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის. კარგი მუშაობით შეიძლება არა მარტო უზრუნველყოთ ზამთრისათვის საკვებზე პირუტყვის მოთხოვნილება, არამედ შეექმნათ კიდეკაც როგორც მინიმუმი საკვების წლიანი ხევრის მარაგი.

უხვი მოსავალი რომ მოვიყვანოთ, საჭიროა ბეჯითად, დაძაბულად ვიშრომოთ, კარგად მოვაწყოთ ნათესების, უწინარეს ყოვლისა სიმინდისა და შაქრის ჭარხლის ნათესების მოვლა. უნდა მოვსპოთ გაუპიროვნება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების ამ დიდმნიშვნელოვან უბანზე. თვითეულ ჰექტარ სიმინდსა და შაქრის ჭარხალს მზრუნველი პატრონი უნდა ჰყავდეს. ამ ძვირფასი კულტურების მთელი ნათესები უნდა მივუჩინოთ მექანიზატორებს, გულდასმით მოვაწყოთ ნათესების დამუშავება მწკრივთა შორის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ურჩევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეიმუშაონ შრომის დამატებითი ანაზღაურების სისტემა ამ კულტურების უხვი მოსავლის მოყვანისათვის. როცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საკმარისად ექნებათ სიმინდის სილოსი და შაქრის ჭარხალი, ისინი აამოქმედებენ მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გადიდების მეტ რეზერვებს. პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ სოფლის კომუნისტებისა და კომკავშირელების, ყველა კოლმეურნისა და საბჭოთა მეურნეობების მუშის ყურადღება მიაქციონ ამ შესაძლებლობებს.

უწინარეს ყოვლისა, საჭიროა მტკიცედ ვიაროთ მეღორეობის განვითარების გზით. ღორი ადრეული ცხოველია. შეიძლება ძალიან მალე მივიღოთ გასუქებისათვის გოჭების საკმარო რაოდენობა. უკრაინის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, ჩრდილოეთ კავკასიის რაიონების, ცენტრალურ-შავნიადაგიანი და ცენტრალური ოლქების, ციმბირისა და რუსეთის ფედერაციის სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მეღორეობის მდიდარი გამოცდილება აქვთ. ამ რაიონების მშრომელთა ღირსების საქმეა იბრძოლონ იმისათვის, რომ გაასუქონ და სახელმწიფოს მიჰყიდონ სულ ცოტა დაახლოებით 100 კილოგრამი წონის ერთი ღორი ერთ-ორ ჰექტარ სახნავზე.

მოწინავე მეურნეობანი წარმატებით წყვეტენ ამ ამოცანას. კიევის ოლქის გრებენკის რაიონის კოლმეურნეობები, მაგალითად, მიმდინარე წელს, გაასამკეცებენ ღორის ხორცის წარმოებას. ერთი წლის განმავლობაში ისინი გაასუქებენ 28.000 ღორს — ერთ ღორს ყოველ ჰექტარ სახნავზე. ღორის ხორცის წარმოება ას ჰექტარ სახნავზე რაიონის კოლმეურნეობებში 67,8 ცენტნერი იქნება დაკლული წონით.

ხორცის წარმოების გადიდების დიდმნიშვნელოვანი რეზერვია მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ინტენსიური გასუქება, აგრეთვე მეფრინველეობის უფრო ფართო განვითარება. ჩვენი ქვეყნის ყველა ზონაში არის ხელსაყრელი პირობები და შესაძლებლობანი მეურნეობის ამ მაღალპროდუქტიული დარგების განვითარებისათვის.

რუსეთის ფედერაციის არაშავნიადაგიანი ზონის, უკრაინის, ბელორუსიის სსრ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ტყე-ველისა და პოლესიეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ხელსაყრელი ბუნებრივი და სამეურნეო პირობები აქვთ მაღალპროდუქტიული სახორცე-სამატყლე და რომანოვული ცხვრის მოშენებისათვის. მაგრამ უკანასკნელ წლებში შენელდა ამ დარგისადმი ყურადღება ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, განსაკუთრებით იაროსლავლის, პერმის, სვერდლოვსკის, მოსკოვისა და ლენინგრადის და ზოგიერთ სხვა ოლქში, მკვეთრად შემცირდა ცხვრის სულადობა, ცხვრის ხორცის, მატყლის, ცხვრის ტყავის წარმოება. ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ლიკვიდირებულია მეცხვარეობის ფერმები.

აქ, ისევე როგორც მთელ რიგ სხვა რაიონებში, ბევრ ხელმძღვანელსა და სპეციალისტს უმართებულოდ მიაჩნია, რომ მიწების დიდი რაოდენობით მოხვნა ხელს უშლის მეცხვარეობის განვითარებას, ისინი მცდარად ემყარებიან იმას, რომ ცხვრის მოშენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ იქნება ბუნებრივი საძოვრების დიდი ფართობები.

სამეცნიერო დაწესებულებათა გამოცდილება და მოწინავე მეურნეობათა პრაქტიკა კი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ უხვმოსავლიანი კულტურების — სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბარდის, საკვები პარკოსნებრის ნათესების გაფართოება საიმედო საფუძველია, ქმნის საჭირო პირობებს ცხვრის სულადობის, მეცხვარეობის პროდუქციის წარმოების მკვეთრი გადიდებისათვის.

მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სილოსის ტიპის კვების შემოღებისას სიმინდის, პარკოსანი და სხვა კულტურების გამოყენების საფუძველზე, მიწების დიდი რაოდენობით მოხვნა, რაც მთელ რიგ ოლქებშია, ხელს არ უშლის მეცხვარეობის წარმატებით განვითარებას. ალტაის მხარის კოლმეურნეობა „საბჭოების ქვეყანაში“ და საბჭოთა მეურნეობა „სტეპნოიში“, სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობა „რუსეთში“ და საბჭოთა მეურნეობა „საბჭოთა საწმისში“, ვორონეჟის ოლქის ტიმირიაზევის სახელობის კოლმეურნეობასა და სხვა მეურნეობებში წარმატებით აჭმევენ ცხვარს 5-7 ცენტნერამდე სიმინდისა და სიმინდ-პარკოსნების სილოსს ერთ სულზე წელიწადში. ეს შესაძლებლობას იძლევა გადიდდეს ცხვრის სულადობა, მაგალითად, კოლმეურნეობა „საბჭოების ქვეყანას“ ჰყავს ათი ათასზე მეტი ცხვარი. მიმდინარე წლის დამლევისათვის კოლმეურნეობაში ჰექტარ სახნავზე იქნება ერთი ცხვარი.

ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების ზრდის დიდი რეზერვი უნდა გახდეს მეცხოველეობის განვითარება ყამირის რაიონების საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში. პირველ ეტაპზე ყამირის მეურნეობების წინაშე დაყენებული იყო მთავარი ამოცანა — აეთვისებინათ ყამირი და მიეცათ ჩვენი ქვეყნისათვის იაფი მარცვლეული, მაგრამ ახლა არ შეიძლება ვიქონიოთ ყამირზე მხოლოდ მარცვლეულის მეურნეობა. მარცვლეულის წარმოების გადიდებასთან ერთად აქ სწრაფად უნდა განვითარდეს მეცხოველეობა, ცალმხრივ მიმართულებას მეურნეობის განვითარებაში შეუძლია სერიოზული ზარალი მიაყენოს წარმოებას, ხოლო ჩვენს ქვეყანას დააკლდება მეცხოველეობის დიდძალი პროდუქტები. აქ შესაძლებელია ვაწარმოოთ ბევრი ძროხის ხორცი, ღორის ხორცი, ცხვრის ხორცი, ფრინველის ხორცი.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს არანორმალურად და დაუშვებლად მიაჩნიათ, რომ ხორცისა და რძის წარმოება ყამირის მხარის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში 1955 წელთან შედარებით 1961 წელს მხოლოდ 11 პროცენტით გადიდდა, ხოლო 1960 წელთან შედარებით კიდევაც შემცირდა. ცხვრის სულადობა მხარის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში განვლილ წელს 49 ათასი სულით შემცირდა. 642 საბჭოთა მეურნეობიდან 113 მეურნეობას არა ჰყავს ცხვარი.

ამასთანავე მოწინავე მეურნეობები სხვა სახეობათა პირუტყვთან ერთად წარმატებით ავითარებენ მეცხვარეობას, ამ დარგიდან იღებენ დიდ შემოსავალს. საბჭოთა მეურნეობა „სამარსკის“, რომელიც 1954 წელს შეიქმნა, აქვს 40 ათასამდე ჰექტარი სახნავი. წლის დამლევისათვის აქ იყო 20 ათასზე მეტი ცხვარი. მეცხვარეობის მოგებამ 1961 წელს 50 ათასი მანეთი შეადგინა.

გულდასმით უნდა ჩავუკვირდეთ თვითეულ მეურნეობაში, თუ რა საკვებით და რა რაციონით შეიძლება ამ ზონაში მივიღოთ ყველაზე იაფი ძროხის ხორცი, ღორის ხორცი, ცხვრის ხორცი, ფრინველის ხორცი. ცხოველთა კვების ეკონომიურად დასაბუთებული რაციონები ანბანი უნდა გახდეს მეცხოველეობაში. მოწინავე პრაქტიკა და გამოცდილება, რომელიც ჩვენმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, საცდელმა სადგურებმა, საყრდენ-საჩვენებელმა მეურნეობებმა შეიძინეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ზონაში, გვიჩვენებენ იმ გზას, რომელსაც უნდა დაადგნენ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. ხორცის წარმოების სწრაფი ზრდა და მისი თვითღირებულების შემცირება შესაძლებელია, თუ მაქსიმალურად გამოვიყენებთ რაციონში სიმინდს, შაქრის ჭარხალს, საკვებ კულტურებს.

უკრაინის სსრ ტყე-ველისა და პოლესიეს ზონაში, მაგალითად, კარგი შედეგებია მიღებული ღორის (4 თვიდან 7-8 თვემდე) ინტენსიური გაზრდისა და შემდგომი გასუქების დროს რაციონით, სადაც მთავარი წილი უჭირავს შაქრის ჭარხალსა და სიმინდის დასილოსებულ ტაროს, სტაფილოს, პარკოსანი კულტურების მწვანე მასას. პოლტავის ოლქის ხოროლის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის განთიადში“ 1961 წელს გასუქეს 6.718 ღორი. წონაში საშუალო სადღეღამისო მატებამ გასუქების მთელ პერიოდში შეადგინა 460 გრამი, ხოლო წონაში ცენტნერის მატების თვითღირებულებამ — 48 მანეთი და 20 კაპიკი. ღორების გასუქებისათვის ფართოდ იყენებენ კომბინირებულ სილოსს, რომელშიც შედის 60 პროცენტი ჭყინტლი და ბაზი სიმინდი, 25-30 პროცენტი შაქრის ჭარხალი, 10 პროცენტამდე პარკოსანი კულტურების მწვანე მასა.

უკრაინის სსრ ტყე-ველისა და პოლესიეს მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში ღორის გასუქების დროს რაციონით, რომელშიც შედის 43 პროცენტი (სინოყივრის მიხედვით) შაქრის ჭარხალი, ერთი სული ღორის საშუალო სადღეღამისო მატება წონაში 540 გრამს უდრიდა, როცა წონაში მატების კილოგრამზე დაიხარჯა 4,4 საკვები ერთეული. წონაში ცენტნერის მატების თვითღირებულებამ დაახლოებით 42 მანეთი შეადგინა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, მეცნიერებს, სპეციალისტებს, საწარმოო სამმართველოთა მუშაკებს თვითეულ მეურნეობაში, შეიმუშაონ პირუტყვის კვების მეცნიერულად დასაბუთებული და ეკონომიურად ხელსაყრელი ნორმები, რომლებიც შესაძლებელს გახდის მივიღოთ მეტი პროდუქცია ნაკლები თვითღირებულებით.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უწინარეს ყოვლისა უნდა შეისწავლონ იმ მეურნეობათა გამოცდილება, რომლებიც რენტაბელურად, მაღალ დონეზე წარმართავენ მეცხოველეობას, წლითიწლობით ზრდიან ხორცისა და რძის წარმოებას. კარგად უნდა ვიცოდეთ, თუ რა ქმნის ცენტნერი ძროხის ხორცის, ცხვრის ხორცის, ღორის ხორცის, რძის თვითღირებულებას, ფრინველის ხორცისა და კვერცხის თვითღირებულებას.

ამ საკითხებზე საბჭოთა მეურნეობების დირექტორებთან, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებთან, სპეციალისტებთან ერთად ღრმად უნდა მუშაობდნენ და მეცხოველეობის გაძღოლის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის პასუხს აგებდნენ საწარმოო სამმართველოები. ისინი მოწოდებული არიან შეისწავლონ ოლქის, რესპუბლიკის საუკეთესო მეურნეობათა გამოცდილება და მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილების საფუძველზე შეასწავლონ თვითეულ მუშაკს, შეასწავლონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს წარმოების ორგანიზაციის უფრო პროგრესული მეთოდები, და არა ის, რომ იარონ ბრმად. მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საუკეთესო მაჩვენებლები დასაყრდენი მაგალითი უნდა გახდეს ყველასათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მიმართავენ სოფლის მეურნეობის დარგში მომუშავე მეცნიერებს. თქვენი მოვალეობაა, ამხანაგო მეცნიერებო, სოფლის ყველა მშრომელთან ერთად მტკიცედ იბრძოდეთ ხორცისა და რძის წარმოების გადიდების ამოცანების გადასაჭრელად, იმუშავებდეთ და ურჩევდეთ კოლმეურნეობებს სოფლის მეურნეობის გაძღოლის მეცნიერულ საფუძვლებს, ქმნიდეთ მცენარეთა და ცხოველთა ახალ ჯიშებს, ქმნიდეთ ახალ მანქანებს, სრულყოფდეთ აგროტექნიკასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნოლოგიას, ყველაფერს აკეთებდეთ იმისათვის, რომ იზრდებოდეს შრომის ნაყოფიერება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. მეცნიერი მოვალეა არა მარტო ურჩევდეს თავის მიღწევებს, არამედ მტკიცედაც ნერგავდეს მათ წარმოებაში. ეს მეცნიერთაგან მოითხოვს უფრო მჭიდრო კავშირს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან. მინდვრები და ფერმები მეცნიერის საუკეთესო ლაბორატორიაა.

ახლა, როცა ჩვენ შევიძინეთ მდიდარი მოწინავე გამოცდილება სოფლის მეურნეობის ყველა დარგში, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება შრომის საუკეთესო ხერხებისა და ნიმუშების დანერგვას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში.

ამ მიმართულებით სერიოზული ორგანიზატორული მუშაობა უნდა გაიშალოს. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო უკეთ უნდა ხელმძღვანელობდეს სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებსა და საცდელ სადგურებს, იცოდეს, თუ რა საკითხებზე [illegible] ინტერესებ, იღებდეს ყველაზე ძვირფას „ამონჩენებსა“ და მიღწევებს და ურჩევდეს მათ საუკეთესო სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში [illegible].

საწარმოო სამმართველოები, ასევე რეკომენდაციებს რომ მიიღებენ, მოვალენი არიან დანერგონ ისინი კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკაში. ხოლო ამასთან მთავარია შეარჩონ ადამიანები, შეასწავლონ მათ საუკეთესო მაგალითები და ორგანიზაციულად დაეხმარონ ახლის გამოყენებაში.

ჩვენ გვყავს ბევრი შესანიშნავი მექანიზატორი, რომლებიც უნარიანად იყენებენ ტექნიკას, სრულყოფენ მანქანებსა და წარმოების ტექნოლოგიას, გზას უკაფავენ შრომის უაღრესად მაღალ ნაყოფიერებას. მათი გამოცდილება უნდა განზოგადდეს და დანერგონ საწარმოო სამმართველოებმა და „საკსოფლტექნიკის“ ორგანოებმა.

„საკსოფლტექნიკის“ ხელმძღვანელები მოვალენი არიან სისტემატურად შეიმუშაონ საწარმოო სამმართველოებისათვის რეკომენდაციები მანქანებისა და მექანიზმების გამოსაყენებლად სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, ტექნიკის უკეთ გამოსაყენებლად.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, საწარმოო სამმართველოებმა მუდმივი კონტროლი უნდა გაუწიონ წარმოებაში მეცნიერული მიღწევებისა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვას.

დიდი მუშაობა უნდა შესრულდეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფერმების მშენებლობისა და მექანიზაციისათვის. ხელიდან არ უნდა გაეშვათ ზაფხულის დრო, რომელიც ხელსაყრელია შენობების აგებისა და მეცხოველეობაში შრომატევადი პროცესების მექანიზაციის გაშლისათვის.

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა ადამიანებმა კარგად იციან და აფასებენ იმ დიდ მუშაობას, რასაც პარტია ახორციელებს სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის. ჩვენ ხალხს ესმის, თუ რა ბეჯითად იბრძვიან სოფლის მოწინავე მშრომელები მარცვლეულის, ბამბის, შაქრის ჭარხლის, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. მაგრამ ის, რაც სოფლის მეურნეობის დარგში გაკეთდა, ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. საჭიროა კოლმეურნეების, საბჭოთა მეურნეობების მუშების, კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების, სპეციალისტების, საწარმოო სამმართველოთა მუშაკების შემდგომი გმირული ღონისძიებანი იმისათვის, რომ მოკლე ვადაში აიყვანონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება იმ დონეზე, რასაც ჩვენი ქვეყნის თანამედროვე განვითარება მოითხოვს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ პარტიულ ორგანიზაციებს გაშალონ დიდი ორგანიზატორული მუშაობა ხორცის, რძისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების წარმოების გასაადიდებლად. მას შემდეგ, რაც კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების, სპეციალისტებისა და მეცნიერების მონაწილეობით თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში შემუშავდება ხორცისა და რძის წარმოების გადიდების ღონისძიებანი, ისინი უნდა განიხილონ პარტიულმა და კომკავშირულმა კრებებმა, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების საერთო კრებებმა.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ღონისძიებანი მიზანშეწონილია შემდეგ განიხილონ და დაამტკიცონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა საბჭოებმა. საკვების წარმოების გადიდების, მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის, ამ საფუძველზე ხორცისა და რძის წარმოების ზრდის ღრმად გააზრებული და დასაბუთებული ღონისძიებები მთავარი უნდა გახდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობაში, კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების შეჯიბრებაში. ამ ღონისძიებათა შესრულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, მათი ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების საქმიანობის შედეგების შეფასების დროს.

ძვირფასო ამხანაგებო, კომუნისტებო და კომკავშირელებო, სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელნო! სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოგმართავენ თქვენ სასოფლო-სამეურნეო წლის ყველაზე პასუხსაგებ პერიოდში. ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში უკვე მიმდინარეობს პურეულის მოსავლის აღება და დამზადება. დიდ დაძაბულობას მოითხოვს სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიც. ამ პირობებში მით უმეტეს არ უნდა გავუშვათ ხელიდან მეცხოველეობის მართვის საქმე, უნდა გვახსოვდეს, რომ ისევე როგორც მარცვლეულის წარმოების გადიდება, ხორცისა და რძის წარმოების ზრდა კომუნისტური მშენებლობის ყველაზე დამკვრელური უბანია. ამიტომ ახლავე უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ კარგად მოვემზადოთ პირუტყვის გამოზამთრებისათვის, უფრო მეტი დავამზადოთ საკვები, შეექმნათ უფრო ფართო ბაზა მეცხოველეობის განვითარებისათვის 1963 წელს.

პარტიისა და ხალხის წინაშე თავიანთი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით სოფლის მეურნეობის მშრომელებმა თავდადებული შრომით უნდა უზრუნველყონ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ისეთი ზრდა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილებანი ხორცსა და რძეზე. ამ ამოცანის გადაწყვეტით კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები დიდ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საკონსტიტუციო კომისიის სხდომა

15 ივნისს კრემლში გაიმართა სხდომა საკონსტიტუციო კომისიისა, რომელიც აირჩია სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ მეექვსე მოწვევის პირველ სესიაზე.

საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მოკლედ დაახასიათა სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის ძირითადი ამოცანები.

შემდეგ სხდომამ განიხილა საკითხი საკონსტიტუციო კომისიის ქვეკომისიების შექმნის შესახებ.

შექმნილია შემდეგი ქვეკომისიები:

— კონსტიტუციის საერთო პოლიტიკური და თეორიული საკითხებისა;

— საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საკითხებისა;

— სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის, საბჭოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის საკითხებისა;

— ეკონომიური საკითხებისა და სახალხო მეურნეობის მართვა-გამგეობისა;

— ეროვნული პოლიტიკისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის საკითხებისა;

— მეცნიერებისა და კულტურის, სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საკითხებისა;

— საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებისა;

— სახალხო კონტროლისა და სოციალისტური მართლწესრიგის საკითხებისა;

— სარედაქციო ქვეკომისია.

საბჭოთა კავშირ-სენეგალის ერთობლივი კომუნიკე

საბჭოთა კავშირ-სენეგალის ერთობლივ კომუნიკეში, რომელსაც 14 ივნისს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და სენეგალის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მამადუ დიამ, აღნიშნულია, რომ სენეგალის მთავრობის მეთაურმა და მისმა თანმხლებმა პირებმა, რომლებიც სსრ კავშირში იყვნენ 8-დან 15 ივნისამდე საბჭოთა მთავრობის მოწვევით, დიდი კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირში მოგზაურობის გამო.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და მამადუ დიას შორის გამართული საუბრების დროს, რომლებიც გულახდილობისა და კეთილი ნების ვითარებაში მიმდინარეობდა, მოხდა აზრთა გაზიარება საბჭოთა კავშირ-სენეგალის ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან საკითხზე.

აზრთა გაზიარების შედეგად გამოვლინდა, რომ ორივე მხარეს ერთნაირი შეხედულებანი აქვს მთელი რიგი აქტუალური საერთაშორისო პრობლემების შესახებ.

ორივე ქვეყნის მთავრობებმა განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ განზრახული კვლავაც ყოველი ღონე იხმარონ საყოველთაო მშვიდობის დასაცავად და განსამტკიცებლად. ორივე მხარემ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საყოველთაო მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების უზრუნველყოფისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება მტკიცე საერთაშორისო კონტროლს დაქვემდებარებულ საყოველთაო და სრულ განიარაღებას.

საბჭოთა კავშირისა და სენეგალის რესპუბლიკის მთავრობები, ნათქვამია კომუნიკეში, მაღალ შეფასებას აძლევენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დეკლარაციას იმის შესახებ, რომ დამოუკიდებლობა მიენიჭოთ კოლონიურ ქვეყნებსა და ხალხებს, და საჭიროდ მიაჩნიათ ეფექტიან ღონისძიებათა მიღება ამ დეკლარაციის სრულად, ადგილებზე ცხოვრებაში გატარებისა და ეროვნული ინტერესებ [illegible] ... ეროვნული [illegible] ... ეროვ

ჩვენი მეგობრობა ჩვენი სიმდიდრეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვანი ამგვარნი მოღვაწენი რუსეთის დიდებად, სახელად ცნობილ არიან უკეთესთა რუსთაგან. მათის ფუალოგით და მეოხებით ევროპამ დღეს სხვა თვალით შეიმოხედა რუსეთის სულიერს ძალ-ღონეს, რომლის გამომეტყველნიც იყვნენ ხსენებულნი დიდგუნებითნი კაცნი რუსეთისანი. ამისთანა კაცნი მით არიან სახელოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორცით ერთს რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თვისის ღვაწლით ამასთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანამოზიარე მთელის კაცობრიობისა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯეს სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად რჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარობისა.

ილია ჭავჭავაძე.



სურათზე: რუსი და ქართველი მწერლების შეხვედრა თბილისის აეროდრომზე. მარცხნიდან — გრიგოლ აბაშიძე, ბესარიონ ჯღენტი, ნიკოლოზ რილენკოვი, მორის ფოცხიშვილი, კარლო კალაძე, ალექსანდრე მეყიროვი, ალექსანდრე გომიაშვილი, იუნა მორიცი, ოთარ ჭილაძე, სერგი ჭილაია, ვლადიმერ სოლოუხინი, სერგეი ვასილიევი და ევგენი დოლმატოვსკი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

მხურვალე გულით

ერაკლი აბაშიძე,
პოეტი-აკადემიკოსი,

ესეთი დღე... თანამედროვე რუსული პოეზიის დეკადა საქართველოში... ბენისის ეს დღეები პოეზიის საზეიმო დღეებია. მოწინავე რუსი პოეტები ეწვევიან საქართველოს. ქართველი მწერლები გულმხურვალედ ეგებებიან რუსული პოეტური სიტყვის გამოჩენილ ოსტატებს, ამით ქართული მწერლობა ნაწილობრივ იხდის ვალს დიდებული შეხვედრისათვის, რომელიც ბოლო-ერთხელ მოუწყიეს ქართველ მწერლებსა და ხელოვნების მუშაკებს რუსეთის სალიტერატურო და სახელოვნო ორგანიზაციებმა, რუსმა მწერლებმა და ხელოვნების მუშაკებმა. ცნობილია, რა უსაზღვროდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნისათვის ქართული ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადას მოსკოვში ამ ოთხი წლის წინათ.

ამ დღეებში რუსული პოეტური სიტყვა ცხოვლად აღიერდება, თანამედროვე გამოჩენილი რუსი პოეტების ენით, ჩვენს მიწაზე, ჩვენს სოფლებსა და ქალაქებში.

აგერ თითქმის საუკუნენახევარია რუსული პოეზია მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოსთან. პუშკინი, ლერმონტოვი, გრიბოედოვი, მეო მაიაკოვსკი და ესენნი, ტიხონოვი და ზაბოლოცკი, შემდეგ კიდევ რუსეთის დღევანდელი უნიკერესი პოეტები ახალგაზრდობა... კარგად თქვა ბელინსკიმ „პუშკინსა და ლერმონტოვზე, მათს პოეზიასა და კავკასიის ურთიერთობაზე. ამ აკვანში აღიზარდა და დღესაც იზრდება მრავალი ოსტატი რუსული პოეტური სიტყვისა.

ჩვენ ხშირად გვიყვარს გახსენება რუს და ქართველ პოეტთა ძმური ურთიერთობის დიდებული ტრადიციებისა და ამა-როგორ არ გავიხსენოთ ეს, მით უმეტეს ახლა, პოეზიის ამ დიდებული ზეიმის დროს.

ქართველი ხალხის ტკბილი მეგობარი ნიკოლოზ ტიხონოვი წერდა:

„არიან ქვეყნები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ სხვა ქვეყნებისათვის. ეს გამოიხატება არა პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგში. არა, ისინი განსაკუთრებული პოეტური შარავანდედით გადაეცემა მრავალ თაობას, რომლებიც ერთმანეთს ცვლიან, მათი ბუნება, მათი ხელოვნება, მათი ძველი კულტურა განსაკუთრებულ მიღებულებას იღებენ არა მხოლოდ მეცნიერთა შორის. ისინი გაგელნას ანდენენ მხატვრებზე, მწერლებსა და მეცნიერებზე. ისინი იზიდავენ ათასთანით მოგზაურებს. ევროპის ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა, რომელსაც ეროვნული ცნობიერებისათვის განსაკუთრებული ზნიშვნელობა აქვს, ჩემი აზრით, არის იტალია. ევროპელი პოეტები, კლასიკოსები — ყველანი ყოფილან იტალიაში, ყველას მიუძღვნია მისთვის თავისი გულის ნაწილი. რუსი პოეტებისათვის ჩვენს იტალიად უეჭველად გახდა საქართველო... მე უკვე არ ვლაპარაკობ ჩვენი ხალხის ისტორიულ კავშირზე, არ დავასახელებ საქართველოს პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელთა ბევრი მტკიცედ არის დაკავშირებული რუსთა სახელმწიფოს ისტორიასთან.

მე მინდა ვილაპარაკო პოეტებზე. რუსი პოეტები ყოველთვის ღრმად გრძნობდნენ ქართული პოეზიის ლირიკულ მომხიბვლელობასა და ძლიერებას“.

და თუ ერთი მხრივ რუსულ ლიტერატურაზე იზრდებოდნენ, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობს, ჩვენი გამოჩენილი მოაზროვნენი ქართული კულტურის, ლიტერატურის კლასიკოსები, რუსული პოეზიაც თავის მხრივ იძენდა ფერადოვნებას ქართულ პოეტურ გენიასთან ურთიერთობაში. ამაზე მიგვითითებს ნიკოლოზ ტიხონოვის ზემოთ მოყვანილი სიტყვები.

საქართველო რუსეთის ჭეშმარიტ პოეტთათვის იყო არა მარტო მომჯადოებელი ბუნება, რამაც შთაგონა ერთს „იბერიის მთებზე...“ მეორეს „დემონი“, მესამეს „ალაზანზე“, მეოთხეს — „კავკასიაში“ და სხვებს კიდევ მრავალი მთრთოლვარე სტრიქონი, არამედ საქართველო იყო ქეყანა, სადაც ისინი გრძნობდნენ მაღალ, დიდ პოეტურ მაჯისცემას, მაღალ დიდ პოეტურ ტრადიციებს. ამიტომ თქვა ალექსეი ტოლსტოიმ, ქართველი პოეტები, მწერლები, მხატვრები დიდი ევროპული კულტურის ადამიანები არიანო.

ლია, ჭეშმარიტი რუსული პოეზია ყოველთვის ახლო გრძნობდა თავს საქართველოსთან. ეს იქნებ იმიტომაც, რომ იგი აქ ხედავდა თავისუფლების დიდ სიყვარულს, და ჭეშმარიტი პოეზიაც ხომ იქ არის, სადაც თავისუფლების სიყვარულია.

ასე ამაღლებულ, ასე დიდებულ წიგნადაზე ჩაეყარა საუფაქეკი ჩვენი წინაპრების, რუსი და ქართველი პოეტების ურთიერთობას, ამ საფუძველზე აშენდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ქართველი და რუსი საბჭოთა პოეტების განუყრელი მეგობრობა.

რუსი და ქართველი საბჭოთა პოეტებისა და მეგობრობა. ყარგად, პოეტურად თქვა ამის შესახებ ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე გამოჩენილმა რუსმა პოეტმა პაპლე ანტოკოლსკიმ: „ქართულ პოეზიასთან ჩვენ მრავალი რამ გვაკავშირებს. როდესაც ამას გავიხსენებთ, ყოველი აზრი ტოტებს ისხამს. ყოველი ტოტ კი ოქროს ნაყოფით მშვენდება, ყოველი ტოტი ქორფა მწვანე ფოთლებით იმოსება“.

თავის მხრივ არც ქართველი პოეტები დარჩენილან ვალში რუსული პოეზიის წინაშე. ჩვენ გვაქვს რუსული კლასიკური და საბჭოთა პოეზიის ბრწყინვალე თარგმანები ქართულ ენაზე. შესრულებული ჩვენი გამოჩენილი პოეტების მიერ. ქართულ ენაზე გამოცემულია რუსული პოეზიის დიდი ანთოლოგია.

რუსულ პოეზიას უყვარს საქართველო. საქართველოს უყვარს რუსული პოეზია.

მხურვალე გულით შეხვდება ქართველი ხალხი რუსული პოეზიის დეკადას საქართველოში.

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება.

მრიდეთ, ჩვენო ძვირფასო ძმებო, უფროსო ყოველისა, ქართველი პოეტების ძმური სალამი.



დეკადის პირველ დღეს

დიდი ლიტერატურული შეხვედრა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოეწყობა დიდი ლიტერატურული შეხვედრა. საღამოზე შესავალ სიტყვას წარმოთქვამს ირაკლი აბაშიძე. რუსულ საბჭოთა პოეზიაზე მოხსენებას წაიკითხავს ალექსეი სურკოვი.

რუსული პოეზიის დეკადის ამ პირველ საღამოში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი პოეტები: ევგენი დოლმატოვსკი, ნიკოლოზ დორიზო, სერგეი ვასილიევი, ალექსანდრე მეყიროვი, იუნა მორიცი, ნიკოლოზ რილენკოვი, ვლადიმერ სოლოუხინი, ილია ფონიაკოვი, ვიქტორ ბოკოვი.

რუსი პოეტების ლექსების თარგმანს წაიკითხავენ ქართველი პოეტები. დასასრულ გაიმართება კონცერტი.

გულწრფელი სურვილები

გულითადად ვუსურვებ შემოქმედებითს წარმატებას საქართველოსა და რუსეთის პოეტების შეხვედრებს. გმადლობთ დეკადაში მონაწილეობის მისაღებად მოწვევისათვის და გულწრფელად ვნანობ, რომ შეუძლოდ ვარ და ჩამოსვლა არ შემიძლია.

კონსტანტინე ფედინი.

გულითადად გმადლობთ მეგობრული მოწვევისათვის რუსული პოეზიის დეკადაში მონაწილეობის მისაღებად. მხურვალედ მივესალმები ძველი მეგობრების მომავალ შეხვედრებს. გისურვებთ უდიდეს წარმატებას. ეჭვი არ მეპარება დეკადის დიდ მნიშვნელობაში. ძალიან ვნანობ, რომ არ შემიძლია პირადად მივიღო მონაწილეობა. გთხოვთ გადასცეთ შეხვედრების მონაწილეთ ჩემი საუკეთესო სურვილები.

ნიკოლოზ ტიხონოვი.

დიდად ვნანობ, რომ გარემოება შესაძლებლობას არ მაძლევს ვისარგებლო ჩემთვის სასიამოვნო მიწვევით და რუსული პოეზიის დეკადის დღეებში ჩამოვიდე საქართველოში. ყოველნაირ წარმატებას ვუსურვებ ქართველი და რუსი პოეტების ძმურ შეხვედრებს...

თქვენი ტვარდოვსკი.

ძმობას გაუმარჯოს!

გიორგი ლეონიძე,
საქართველოს სახალხო პოეტი.

სალამი, ძმებო და მეგობრებო! გაუმარჯოს თქვენს ჩამოსვლას, თქვენს პოეტურ ლაშქრობას!

გაგიმარჯოთ თქვენ, პოეზიის ჩრდილოეთის გენდებო! — თანამებრძოლნო, თანამოკარეშლე პოეტებო!

გეგებებით სიხარულით და სიყვარულით ჩვენი ერის მოყვრებს, მოხიყვარულეთ.

თქვენ მიმოიელით მშვენიერების, შრომისა და სოცოცხლის ქვეყანას — საქართველოს. იხილავთ ალაზნის ვაზების ოქროს, ქართლის ბულბულოვან ბალებს, კოლხიდის ვარდნარებს, ციტრუსების აფეთქებულ ცეცხლს, საქართველოს ხოხბური სილამაზის სავსებას; იხილავთ დიდი წარსულის ნაშთებს — ძველ ტაძრებს; ახალ ნაგებობებს, ჩვენს ინდუსტრიას, ნაჩქეფარ რუსხმულებს, და იმ დიდი ნაშრომის ხვავს, რომელიც დააყენა სოციალისტურმა საქართველომ თავისი დაუცხრომელი მარჯვენით.

დაე, მან აგიფეროთ ჩანგის სიმები, ისევე, როგორც აუფეფრებიათ ძველთა, საქართველოში ნამყოფ თქვენს წინაპარ რუს პოეტებს.

საქართველო — რუსთაველის ბაღნარია, მრავალმა მსოფლიოს ურთიერთმეგობრებმა ქართველმა პოეტმა ასახელა ქართული მიწა.

ვინ არ იცის გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა!

ჯერ კიდევ ძველი რომაელი პოეტები (ჰორაციუსი) ამაყობდნენ, რომ კოლხიდაში ჩვენს ლექსებს მკითხულობენო!

მეოხეშენით, რომ თქვენი სიყვარულით ნათქვამი პოეტური სიტყვა ჩვენშია კარგ დამფასებლებს იპოვის!

თქვენ მოიხმენთ ჩვენს ქართულ სიტყვასაც და ყოველივე ეს იქნება ნამდვილი გამომსახველი პოეტური თანამეგობრობისა და ძმობისა, რომელიც მოდგმიდან მოდგმაზე გადმოდის.

გავიხსენოთ პუშკინი, ლერმონტოვი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, რომელთაც ჩვენი პირველი სულიერი კავშირის საძირკველი ჩაყარეს. და შემდეგ...

განა შეიძლება დღეს არ გავიხსენოთ ჩვენი საყვარელი ძმა ვლადიმერ მაიაკოვსკი, რომლის სამშობლო საქართველოს მიწა-წყალი იყო! მას დიდად უყვარდა თავისი აკვნის მიწა, და კიდევაც ალერსით უმღერა ამ მიწას! მაიაკოვსკის ქართველ პოეტებთან არა ერთგზის უსაუბრია ქართულად („ომერული აქცენტით“), მას წარმოუთქვამს ჩემს წრეში ქართულად ირიდონ ეფდოშვილის ლექსი — „მეგობრებო, წინ, წინ გასწით“! ქართული ენის სიწმინდეს გაუფრთხილდითო, მზრუნველობით გვეუბნებოდა...

ჩემი მეგობარი სერგეი ესენინი დიდ მოყვარული იყო საქართველოსი. იგი ღრმად ჩასწვდა ჩვენი ქვეყნის შინაგან და გარეგან სილამაზეს და, როგორც ჩვენთან განუცხადებია, აპირებდა ლექსების რაკლის დაწერას საქართველოზე, მაგრამ უწყალო ხვედრმა აღარ აცალა!

მაგრამ არც ოქ შეწყვეტილი ჯავი...

მოვიდა ჩვენთან „ლეტსი, ფიც-ვერცხლით მეობილი“, მართლაც, საქართველოს მიჯნური ნიკოლოზ ტიხონოვი, რომელმაც ახალი ხმით აამღერა საქართველოს მზეწინა, სიყვარული ქართველი ხალხისადმი!

დაუფიფეარი ნიკოლოზ ზაბოლოცკი! დიდი მოყვარული ქართველი ხალხისა, უველასათვის საყვარელი! მან დიდად დაავალა ქართული მწერლობა თავისი უკვდავი შრომითა და ნაღვაწით!

და მასთან ერთად პაპლე ანტოკოლსკი, — ჩვენი ძველი მოამაგე ძმობილი; ვლადიმერ ლერტვანი, დაუცხრომელი ჩვენი მთარგმნელი; ნაამაგარი არსენი ტარკოვსკი და მოხიყვარულე ახალგაზრდა ალექსანდრე მეყიროვი, რომელიც სახელოვნად აგრძელებს უფროს ამხანაგთა შესანიშნავ ტრადიციებს.

რა დაგვავიწყეს ჩვენთვის გულშეტკივებულ ვიქტორ გოლცევს (თუმც იგი პოეტი არ ყოფილა).

და ბოლოს თქვენი დელეგაციის მეთაური, — ჩვენი მოჭირნახულე, დიდი პოეტი და სახოგადო მოღვაწე, ძველი მეგობარი ალექსეი სურკოვი, რომელიც ყოველთვის დიდად ეხმარება ქართულ მწერლობას. ჩვენი მწერლობის საჭიროებათათვის იგი არაერთხელ შეგვისაქმებია.

ასეთი ძმები გვყავს და გვყოლია!

და დღეს, თქვენ მიგმატებენთ, — ახალი რაზმი რუსული პოეზიისა — თავჩინებული პოეტები, ახალი მომღერლები, ტაბლად განწყობილი ჩვენს მიმართ, სიყვარულის ცხადმყოფელნი. ჩამოხვედით, რომ თქვენი ოქროთი და ფოლადით ნაკეთები ხმა გაგვაგონოთ!

ძმებო, ამხანაგებო, გვიხარია თქვენი ჩამოსვლა. ჩვენ ერთ მიზანს და ერთ სილამაზეს ვემსახურებით. ქართველი ხალხისათვის ხომ პოეზია მუდამ იყო „სუფთაველი ნათლისა“.

დღევანდელი პოეტური შეხვედრა საქართველოში უპირველესად გალრმავება და განმტკიცება იქნება ჩვენი შემდგომი შემოქმედებითი მეგობრობისა!

თქვენ, რუსული მხატვრული სიტყვის ოსტატებო, ხომ ბევრი იშრომეთ თქვენი შესანიშნავი თარგმნებით, რათა ქართული პოეზია ხელმისაწვდომი გამხდარიყო მოწინავე კაცობრიობისათვის!

დაე, თქვენმა ჩამოსვლამ უფრო ღაადუღაბოს ჩვენი ძმობა, ჩვენი ქართულ-რუსული ლიტერატურის კავშირი!

გისურვებთ, დღევანდელ დეკადაზე ბრწყინვალედ გაგიმარჯვნოთ!

დაე, ნაყოფი, ლექსისა და სიმღერის რაველი უფრო მეტი ყოფილიყოს ჩვენს მეგობრობაში!

გაუმარჯოს პოეტების ძმობას!

ნიკოლოზ დორიზო

ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე დორიზო დაიბადა 1923 წელს ქალაქ კრასნოდარში, მოსამსახურის ოჯახში. სამამულო ომის წლებში მუშობდა სამხედრო გამომცემლობაში. 1945-48 წლებში სწავლობდა როსტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ლექსების გამოქვეყნება დაიწყო 1948 წელს.

დორიზოს ლექსების კრებულში, რომელიც რუსული პოეზიის დეკადისათვის გამოსცა „საბჭოთა მწერალმა“ ქვემოთ გამოქვეყნებული ლექსის გარდა შეტანილია „სიმდერა უცნობ ჯარისკაცზე“, „ერთი მეგობრის შესახებ“ და „მე დავწერე ერთხელ ლექსი ერთი“.

პ ო ე ტ ი

როცა მიწყნარდნენ ღამით მგზავრები
ბაგონში,
ერთმა მოხუცმა მკითხა:
— თქვენ რა ხელობის კაცი
ბრძანდებით? —
მე დაკუმდი და
ვფიქრობდი ღიღბანს:
თავი რომ მგონსად გავაცნო ეხლა,
იქნებ მოხუცმა ჩათვალოს კეკეხნად,
როგორ მიკვნდო გაზეთს და წიგნებს,
სულაც არ მიცნობს მოხუცი იქნებ?!
ჯერ გვარს მკითხავს და
მერე ერთიან
პირში. მომახლის შკვეხარა მგოსანს:
— სიმართლე გითხრათ,
არ შემხვედრია
არსად.
მე უფრო ვკითხულობ პრობას!
იმ ღამეს
(დაე შემინდოს თამამს
მუზამ ბავშვური დაუდეგრობა)
მე გავასაღე სტუდენტად თავი,
ჯერ გავამბილე ჩემი ხელობა.
მაგრამ კბილებიდან სული მეკარა,
თითქოსდა აზრზე გვიან მოვედი:
იქნებ სკობდა —
ჩვეულებრივად,
უბრალოდ მეთქვა:
— მე ვარ პოეტი.
მე ხომ მოხუცის ხელობა ვიცი,
მასაც ნაცნობი ბევრი ჰყოლია,
თუმცა ლასენკო არ არის, ისიც
ჩვეულებრივი ადრონომია!
ღამე საუბრით გავახალისეთ,
ვლაპარაკობდით წესით და რიგით;
მე — გაზაფხულის ხორბლის ხარისხზე,
მაიაკოვსკის ლექსებზე — იგი.
განთიადამდე ტკბილად გისმენდი
ჩემი ძვირფასი პოეტის სტრიქონს...
ღელავდა, ქნდას ითხოვდა ისე,
თითქოს თავისი ლექსები იყო.
ფიქრობდი,
მოხუცს დავშორდი ოდეს:
მაიაკოვსკის ლექსი რომ მქონდეს
თვალებს ამაყად გავუსწორებდი
და მხნედ ვეტყოდი:
— მე ვარ პოეტი!

თარგმანი ვასტანგ ჯაფარიძისა.



სერგეი ვასილიევი

ცნობილი რუსი საბჭოთა პოეტი სერგეი ვასილიევი დაიბადა 1911 წელს. სამამულო ომის პირველი დღიდანვე რიგით ჯარისკაცად იბრძოდა ფრონტზე. შემდეგ მიწვეულ იქნა სამხედრო კორესპონდენტად ცენტრალურ გაზეთში.

თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობის ოცდაათი წლის მანძილზე პოეტმა გამოაქვეყნა ლექსების, პოემებისა და სამღერების მრავალი კრებული.

სერგეი ვასილიევის შემოქმედება გამსჭვალულია სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით. პოეტი უმღერის სიცოცხლეს, მშვიდობას, ბედნიერებას, ხოლო როცა რაიმე უკეთურს შესასწრებს თვალს, ხელად სატირის ცეცხლსა და მახვილს მოიშველიებს ხოლმე.

* * *

გავიდა, გავიდა ორმოცი,
ორმოცი მშფოთვარე წელი.
ეს თოვლის ფიფქები მაცვივა,
თუ ბრბა თოვლის ფერი.
აჰა, სიჩუმეც მორჩა,
ცეცხლი, აფეთქება, შრაშანი...
თუმცა ჯერ შორსაა სიბერე,
მაგრამ არც ისე შორს არი.
და. შუბლთან ნისლიანი ტრიალებს —
ფიქრი არ მასვენებს წამით:
მიეყავარ ნაავდრალ გზებზე,
მოდის უძილობა ღამით.
მე მყოფნის ცოტა სიხარული,
ვიშორებ დიდგულა სურვილთ.
მაგრამ მხრებს ფიქრები აწვება
და თითქოს მძიმდება სული.
ნამდვილად მჯერა თუ მგონია?
მეჩვენება, თუ ვხედავ?
თუ გზადაბნეული სიტყვები
ისევე აშლილან ერთად?
ეარ თუ ზღვას ქაფი მოვხადე
და ვფიქრობ, ეარ ზღვათა წიალ?
ის მეგობარია ჩემი
თუ ძველი მოსისხლე ჰქვია?
ჩქარა ჩირაღდანი! მე მინდა
გზები გავანათო ჩრაღლნით.
სიცოცხლე რა არის, წავიდეს,
ოღონდაც ეაროს სამართლითა...
და ისევ მივდივარ გრიგალში,
დიდი და მძიმეა მიწა
და ამ გრიგალში დავეფეთ
ძნელსა და შორეულ მიზანს.

თარგმანი არჩილ სულაკაურისა.

თეთრი არყის ხე

მახსოვს, დაბეჭრა სისხამზე
არყის ხე ჭერეული ნამსხვრევით,
წვენი დიოდა ხის კანზე,
ტიროდა სიმწარით და ცრემლით.
ტყის იქით ბეჭედნენ ტანკები,
და ატაბედა კვამლი დღეს,
მოსკოვთან მკერდით აღვსდექით,
გადავარჩინეთ არყის ხეც.
ადრიან გაზაფხულისას
საშინელ ომში დაჭრილმა
მწვანე ფოთლები მოისხა
და მიწა ჭრელად დაჩრდილა.
მას შემდეგ ყველა მუქარა
სამართლიანად გვანრისხებს,
ვამბობთ: — მეორედ ყუმბარა
ჭერ მოხვდეს რუსულ არყის ხეს.

თარგმანი ოთარ ჭელიძისა.

ევგენი დოლმატოვსკი

ევგენი დოლმატოვსკი დაიბადა 1915 წელს მოსკოვში, იურისტის ოჯახში. ლექსების ბეჭდვა დაიწყო 30-იან წლებში. მწერალი სამამულო ომის მონაწილეა. ლექსების პირველი წიგნი გამოაქვეყნა 1934 წელს მოსკოვში.

თბილისის აეროდრომზე ე. დოლმატოვსკიმ ჩვენს კორესპონდენტს გამოსაქვეყნებლად გადასცა ეს პატარა ბარათი: „აკვლევ საქართველოში! პოეზიის ამ მხარეში ბევრი ეული ჩამოსვლა ჩემთვის ადმოფრთოვანებელი მოვლენაა. მწამს, რომ რუსეთისა და საქართველოს პოეტებისა და მკითხველების ახლანდელი შეხვედრა ხალხთა მეგობრობის, ჩვენი სოციალისტური კულტურის დღესასწაული იქნება“.

მ ა რ ი ლ ი

ყურებში კოლო ჩაგვძახის,
ბუღლა, ცხელა, ცხელა.
მიგვაქვს ჩაეუჩი, ნაჯახი,
ტაიგის მიეფეეთ ნელა.
მაგარი ჩექმა გავცვეთოთ,
აგერ, მეორეხელ ახლა.
ანა, ის ვეღარ აგვცილდეს,
ომას უთუოდ ეწინახავთ.
მიგდიეართ უგზო მგზავრივით,
მოგვდეეს ჭაობის ქარი.
ჩვენ უნდა ვნახოთ მარილი,
ჩვენ ვეძებთ, ვეძებთ მარილს.
ჩვენს წყლებში თეგზი ბეგარა,
ზღვა ორაგულებს არ ილევს.
და თეგზი არაფერია,
თუკი ვერ დავამარილეთ.
მე მარილს შეეჭამ ფუთობით,
მაგრამ სადაა, სადა?
აქ ყველაც არის უთუოდ,
ეპოვებ, ფამიჯდეს რადაც.
სიბერეებაშიც გავიელი,
რაზმი მყავს მძლავრზე მძლავრი.
ჩვენ უნდა ვნახოთ მარილი,
ჩვენ ვეძებთ, ვეძებთ მარილს.
შავ კლდესთან მარილს ვეძებდი,
შავ კლდესთან ოქრო ვნახე.
ყრუ ტაიგაში შევჩერდი,
ჩქ კი პლატინა ვნახე.
ბუშმალიოვი კოლია
მხნედ ტაიგაში დადის.
ჩვენ დარდიც წამოგვყოლია,
ვერ შეგვაფერხებს დარდიც.
ჯანმრთელი ვიყოდ ხარივით,
ბედეეს სურავენდის ქარი.
ჩვენ უნდა ვნახოთ მარილი,
ჩვენ, ვეძებთ, ვეძებთ მარილს.
მე ღამით ძილი გამიკრთა,
თუ ძილმა ხელი მკიდა, —
სიზმარში ვხედავ ღამითაც
მარილის ელვარ კრისტალს.
ავდგები, ვამბობ: „წავიდეს,
ვინც ცოცხლობს, უნდა ძებნოს“.
ძველ კარგებს მხრებზე გავიდებთ
კვლავ მარილს ვეძებთ, ძმებო.
ვათრევთ ძელაყინს ბარივით,
ბუსოლიც ჩვენთან არის.
ჩვენ უნდა ვნახოთ მარილი,
უთუოდ ვნახავთ მარილს.

თარგმანი ლადო სულაბერიძისა.

კომუნისტი
მე-8 გვერდი, შაბათი,
16 ივნისი, 1962 წ.

სიმართლე უნდა ზეიმობდეს

„სოვრემენნიკი“ თბილისში

რა ხანია თბილისის თეატრალურ საზოგადოებრიობამდე ხმამ მოაღწია, რომ მოსკოვის ყველაზე ახალგაზრდა თეატრმა „სოვრემენნიკმა“ ე. შვარცის პიესა „ტიტველი მეფე“ დადგა. წარმოდგენას დიდი წარმატება ხვდა. როგორც ყველა თავისებურ და თამამ მხატვრულ მოვლენას, აზრთა წინააღმდეგობაც მოჰყვა შედეგად. მით უფრო საინტერესო იყო ჩვენთვის სპექტაკლის ნახვა, მით უფრო პასუხსაგები — თეატრისათვის მისი ჩვენება. შემოქმედებით გამარჯვებაზე დარხეული, ხმა გამართლებას მოითხოვდა.

„ტიტველი მეფე“ ჩვენი სტუმრების მეორე წარმოდგენა იყო თბილისში. კონტაქტი, რომელმაც ფარდის გახსნისთანავე დაისადგურა დარბაზსა და სცენას შორის, დაურსულებელი გულიანი სიცილი სპექტაკლის მსვლელობის დროს და ხანგრძლივი მეგობრული ტაში მის დასასრულს იმის მაუწყებელი იყო, რომ წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

რით დაიპყრო „ტიტველმა მეფემ“ მაყურებელი? რაშია მისი მომხიბლველობის საიდუმლოება? უბრალელს ყოველისა იმ აზრით, რომლის ნათელსაყოფად შექმნეს დრამატურგმა და თეატრმა ანდერსენის რამდენიმე ზღაპრის მოტივებზე აგებული თავიანთი ნაწარმოები. ამბავი, რომელიც საფუძვლად უდევს ზღაპარს, სულ უბრალოა (მეტლორეს პრინცესა შეუყვარდება და ყველა წინააღმდეგობას სძლევს იმისათვის, რომ შეირთოს იგი), მაგრამ იძლევა იმის საშუალებას, რომ იქცეს მამხილებელ ქარგად, რომელზეც საზოგადოების ყველა სფეროში მოკალთებულ შემთხვევით ადამიანთა სატირული სახეები ამოქარგოს. მაყურებელთა დარბაზში თუ კი ამგვარი მოიძებნება, ყველას ამხილებს იგი. ამხილებს მხიარულად, მსუბუქად, მაგრამ ულმობლად. ჩვენ სინამდვილეში შემორჩენილ ასეთ ადამიანებს ებრძვის იგი და ამით არის სწორედ უაღრესად თანჯერადოვან. ამით კიდევ ერთხელ ამართლებს თეატრი თავის შესანიშნავ და პასუხსაგებ სახელწოდებას — „თანამედროვეს“ („სოვრემენნიკ“).

ფარდის გახსნისთანავე მაყურებლის ყურადღება დეკორაციის სიმსუბუქემ და სიძლიერემ მიიპყრო. ორ წრეზე დამაგრებული კედლის ნაწილები ოდნავ შემობრუნების მეშვეობით ადვილად ცვლიან მოქმედების ადგილს. დეკორაცია ფერადოვანია, მსუბუქი და იმდენად სადა გამოსაყენებლად, რომ სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს არაფრად უღირთ მისი დადგმა სცენაზე. მხატვარი ვ. ი. დორერი ჭეშმარიტად თეატრალური მხატვარია — მისი დეკორაცია არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მსახიობს სჭირდება. იმიტომ, რომ მსახიობია მთავარი „სოვრემენნიკში“. მაგრამ არა ერთი რომელიმე, თუნდაც ძალიან საინტერესო და თავისებური, არამედ ყველა ერთად, ის ანსამბლი, რომელიც სპექტაკლს ერთ მთლიან მხატვრულ მოვლენად აქცევს. ეს ანსამბლურობა „სოვრემენნიკის“ თვისებრივი განმასხვავებელი ნიშანია. რაოდენ შესანიშნავიც უნდა იყოს თავიანთი როლებში ე. ევსტიგნეევი (მეფე-სასიძო), ი. კვაშა (პირველი მინისტრი), ო. ტაბაკოვი (დირიჟორი და მზარეული), ვ. სურგაჩევი (ნაზ გრძნობათა მინისტრი), ნ. დოროშინა (პრინცესა), მ. კოზაკოვი (კამერპერი), გ. ვოლჩეკი (პირველი ფრეილინა), ვ. ნიკულინი (ქალაქის „მერი“) და სხვანი, არც ერთი მათგანი არ განაპირობებს სპექტაკლის ხარისხს — ყველანი ერთად ქმნიან მას.

ე. ევსტიგნეევი — მეფე-სასიძო

ამიტომაც ამ სპექტაკლში ყოველი მხატვრული სახე გამოკვეთილია არა გარემოცვის უხარისხობით, არამედ პირიქით— მისი მაღალი ხარისხით. ბრწყინვალედ თამაშობს ე. ევსტიგნეევი შიშველ მეფეს, მაგრამ არავის არ ეპარება ეჭვი იმაში, რომ მსახიობის ამ მიღწევაში ძალიან დიდი ღვაწლი მიუძღვის მეორე მსახიობს, მის პარტნიორს ი. კვაშას (პირველ მინისტრს) და პირიქით — ი. კვაშა არ იქნებოდა აგრერიგად შესანიშნავი, ე. ევსტიგნეევი და სხვები რომ არ იყვნენ მის გვერდით და სპექტაკლის დედააზრის ტალრსს ყველა თავის შესაფერად რომ არ ეზიდებოდეს.

სპექტაკლის რთული ორგანიზმის ნაწილებს შორის ძალთა ბალანსი თანაფარდობა უდავოდ რეჟისურის სიძლიერის მაუწყებელია (რეჟისორი მ. მიქაელიანი). საქმე მარტო ის არ არის, რომ „ტიტველ მეფეში“ ეფექტური რეჟისორული ხერხებით შექმნილი სცენები მოიპოვება (პრინცესას გაქცევა სასახლიდან, აღმზრდელი ქალისა და კამერპერის დაორობის სცენა, მეფის გაღვიძება და ახალი სამოსის მორგების სცენა და ა. შ.). მთავარი ის არის, რომ ყოველი გმირის სცენური სიცოცხლის ხაზი ლოგიკურად, ფსიქოლოგიურად და ეანრობრივად არის გამოკვეთილი, ამავე დროს ბოლომდე დამაჯერებელია ცხოვრებისეული განცდის სიმართლის წყალობით.

რაც უნდა ღრმა იყოს ეს სიმართლე, როგორადაც უნდა იყოს დატვირთული აზრით, გრძნობით, სატირული სიმახვილით, მუდამ იმდენად უბრალოდ და მსუბუქად არის გამოტანილი სცენაზე, რომ სისადავე სიადვილის შთაბეჭდილებასაც შეიძლება ტოვებდეს. ეს ის სისადავე და სიმსუბუქეა, რომელიც ყოველ ნამდვილად მხატვრულ ნაწარმოებს ახლავს ხოლმე თან, იმიტომ რომ არ ემჩნევა მისი შექმნისათვის დახარჯული შემოქმედებითი შრომის სიმძიმე. ეს კი მსახიობთან რეჟისორის მხოლოდ ნამდვილი მუშაობის შედეგად არის შესაძლებელი. ეს შესაძლებელია მხოლოდ ისეთ თეატრში, სადაც რეჟისორისთვისაც მსახიობია მთავარი.

თანამედროვე ადამიანის სურვილები და მისწრაფებები, მისი შინასამყარო, თანამედროვე ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხები, მათი დასმა და გადაჭრა, ცხოვრებაში აქტიური ჩარევა — აი, „სოვრემენნიკის“ მიზანი. ის ორი სპექტაკლი, რომლებიც გვიჩვენეს სტუმრებმა (ა. ზაიცხა და ი. კუზნეცოვის „ორი ფერი“ და ე. შვარცის „ტიტველი მეფე“), აშკარად მოგვიწოდებენ: არ შეიძლება იყო გულგრილი მეორე ადამიანისადმი! არ უნდა დაინდო არაფერი მახინჯი, თუ კი ის ჩვენს სინამდვილეს შემორჩენია და ჩირქს სცხებს ადამიანის ღირსებას!

ვნახოთ, რას მოგვთხრობენ, რისკენ მოგვიწოდებენ ამ საინტერესო თეატრის შემდგომი წარმოდგენები.

ნათელა ურუშაძე.

* * *

მეგობრული შარეები

გიგლა ფირცხალავა.

ნ. დოროშინა — პრინცესა.

ჩვენი სტუმრები

ავსტრიის კომპარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია საქართველოში

ოთხ დღეს იმყოფებოდა საქართველოში ავსტრიის კომპარტიის პარტიულ მუშაკთა დელეგაცია ავსტრიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრის ამხ. ფრანც მურის მეთაურობით.

დელეგაციის წევრებმა დათვალიერეს თბილისის ახალი და ძველი რაიონები, იყვნენ ქალაქის მშენებლობებზე. ისინი გაეგზავნნენ რუსთავში. საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. ა. თინბერიძემ გააცნო მათ რესპუბლიკის ამ ახალგაზრდა ინდუსტრიული ცენტრის წარმოშობის ისტორია, მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივები. სტუმრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მეტალურგიული ქარხნის დათვალიერებამ.

დელეგაცია გაემგზავრა გორის რაიონში, სადაც ეწვია სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობას.

გუშინ დელეგაციის წევრები ესაუბრნენ საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველ მოადგილეს უ. პ. ობოლაძეს. თქვენი პროგრესი, შუშაობის გამოცდილება განათლების დარგში, შენიშნეს მათ, მეტად ძვირფასია ჩვენთვის, რამდენადაც ჩვენში, ავსტრიაში ახლა ვაწარმოებთ ბრძოლას სასკოლო რეფორმის განხორციელებისათვის.

საქართველოში ყოფნის დროს ავსტრიის კომპარტიის პარტიული მუშაკები შეხვდნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელ მუშაკებს.

დელეგაციის შეთაურმა ავსტრიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა ამხ. ფრანც მურიმ საქმიანი კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

— ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა საქართველოს შესანიშნავმა წარმატებებმა ეკონომიურ განვითარებაში. ეს ჩვენ თვალნათლივ დავინახეთ ქალაქ რუსთავის დათვალიერების დროს.

ამხ. ფრანც მურიმ შემდეგ თქვა: საქართველოს მაგალითით, სადაც დიდ აყვავებას მიაღწია სახალხო მეურნეობამ და კულტურამ, კომუნისტური პარტიის ეროვნული პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე, მკაფიოდ ჩანს საბჭოთა სოციალისტური ერების ნამდვილი თანასწორუფლებიანობა და ურღვევი მეგობრობა.

საუბრის დასასრულს დელეგაციის მეთაურმა ძმური სალამი გადასცა საქართველოს ყველა კომუნისტს, მშრომელებს, უსურვა მათ ახალი დიდი წარმატებანი კომუნისტურ მშენებლობაში.

მშვიდობის ინტერესებისათვის

საბჭოთა მთავრობის განცხადება კანადის მთავრობისადმი

მოსკოვი, 15 ივნისი. (საკდესი). 14 ივნისს სსრ კავშირის ელჩი კანადაში ა. არუთინინი ეწვია კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს ნ. რობერტსონს და საბჭოთა მთავრობის დავალებით გაუკეთა განცხადება.

კანადის სახელმწიფო მოღვაწეები, აღნიშნულია საბჭოთა მთავრობის განცხადებაში, აშკარად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ კანადა ემზადება ატომური შეიარაღებისათვის. არ შეიძლება ყურადღება არ მიექციოს იმ ფაქტსაც, რომ კანადაში უკანასკნელ დროს წარმოებს ატომური ფსიქოზის გაღვივების ფართო კამპანია.

სავსებით გასაგებია, ნათქვამია განცხადებაში, რომ ყოველივე ამან უნდა გაამახვილოს საბჭოთა მთავრობის ყურადღება, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი კანადელი მოღვაწე ცდილობს გაამართლოს ატომური შეიარაღებისათვის მზადება იმის დამოწმებით, რომ თითქოს კანადას საბჭოთა კავშირი ემუქრებოდეს. ეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკის უხეში დამახინჯებაა, რომლის მიზანია შეცდომაში შეიყვანოს კანადელი ხალხი.

„კანადის მთავრობისათვის, ხაზგასმით აღნიშნულია განცხადებაში, კარგად არის ცნობილი სსრ კავშირის წინადადებანი ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის დაკვირვებადებარებული საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ, მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციის შესახებ, რომელთა მიზანია მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება. საბჭოთა მთავრობა კანადის მთავრობის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ კანადის ატომური შეიარაღება გაართულებს საერთაშორისო ვითარებას და დამატებით სირთულეებს შექმნის ბევრი საერთაშორისო საკითხის გადაჭრის გზაზე.

„კანადის ტერიტორიაზე ატომური იარაღის გაწლაგებამ, აღნიშნულია განცხადებაში, არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს უშუალოდ საბჭოთა კავშირ-კანადის ურთიერთობებზეც. საბჭოთა კავშირისათვის, როგორც კანადის მეზობელი სახელმწიფოსათვის, სრულიადაც არ არის სულერთი, თუ რა ხდება მისი სახმელეთის ახლოს, როდგან ეს შეეხება მის უშიშროებას.

განცხადებაში გამოთქმულია იმედი, რომ კანადის მხრივ არ გადადგმება რაიმე ნაბიჯი, რომელიც გამოიწვევს საერთაშორისო დაძაბულობის ზრდასა და ომის საფრთხის გაძლიერებას. თავისთავად იგულისხმება, რომ თუ კანადა განახორციელებს კანადის ტერიტორიაზე ატომური იარაღის განლაგების ღონისძიებებს, სსრ კავშირის მთავრობა იძულებული იქნება გააკეთოს აქედან სათანადო დასკვნა საბჭოთა კავშირის უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

გიზენგას დასაცავად

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის განცხადება

მოსკოვი, 15 ივნისი. (საკდესი). საერთაშორისო ფრონტი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, პატრის ლუმუმბას ერთგული თანამებრძოლის დევნა.

გადაწყვეტილება ანტუან გიზენგასთვის საპარლამენტო ხელშეუხებლობის ჩამორთმევის შესახებ, რომელიც კოსგოს პარლამენტის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო გიზენგას დაუსწრებელად, ბელგიელ მოხელეთა სამსჯავროზე მისი გადაცემა პარლამენტარიზმისა და დემოკრატიის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დარღვევათა ჯაჭვის ახალი სამარცხვინო რგოლია.

საკმარისია ითქვას, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებით დაირღვა კონგოს ძირითადი კანონის 81-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ ყოველ დეპუტატს, თუ მას წაუყენებენ რაიმე ბრალდებას, უფლება აქვს წარდგეს პარლამენტის წინაშე და პასუხი გასცეს წაყენებულ ბრალდებაზე.

ანტუან გიზენგას მოუსმეს შესაძლებლობა

მაკმილანის საპასუხო დეპეშა ნ. ს. ხრუშჩოვისადმი

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ მაკმილანმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ნ. ს. ხრუშჩოვს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ეთანხმება მის აზრს იმის შესახებ, რომ ეროვნული ერთობის მთავრობის შედგენა ლაოსში დიდ შესაძლებლობას უქმნის ამ ქვეყანას მომავალში. ჰ. მაკმილანი აღნიშნავს, რომ იზიარებს ნ. ს. ხრუშჩოვის-იმედს, რომ ახლო მომავალში დაიდება საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც „საბოლოოდ განამტკიცებს ლაოსის პრობლემის გადაჭრას, და რომ მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით შეიძლება გადაიჭრას აგრეთვე სხვა საერთაშორისო პრობლემები, რომლებიც ახლა გვაღელვებენ“.

თანამშრომლობის მკაფიო მაგალითი

ჰანოი, 15 ივნისი. (საკდესი). ვიეტნამის სახელმწიფო მეურნეობათა განვითარების შესახებ ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმების ხელმოწერის მეორე წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში სახელმწიფო მეურნეობების საქმეთა მინისტრის მოადგილე ნგუენ ვან ჩი წერს იმ დახმარების მნიშვნელობაზე, რომელსაც უწევს საბჭოთა კავშირი ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

საბჭოთა კავშირის დახმარების მეოხებით, წერს იგი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო მეურნეობებმა მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს.

კენედის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 15 ივნისი. (საკდესი). გუშინ თეთრ სახლში გაიმართა პრეზიდენტ კენედის მორიგი პრეს-კონფერენცია. ერთ-ერთმა კორესპონდენტმა, ლაოსის საკითხის მოწესრიგების თაობაზე ნ. ს. ხრუშჩოვსა და ჯ. კენედის შორის წერილების გაცვლასთან დაკავშირებით, ჰკითხა პრეზიდენტს, მიგაჩნიათ თუ არა, რომ „ლაოსის ფორმულა“ რაიმე სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს დასავლეთ ბერლინისა და გერმანიის პრობლემის გადასაჭრელადო. კენედიმ უარყოფითი პასუხი გასცა და განაცხადა, ლაოსის და ბერლინში სხვადასხვა ვითარებაო.

პრეზიდენტის სიტყვით, საჭიროა დაცდა იმაში დასაჯერებლად, რომ ლაოსის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმება ხორციელდება. „თუ ეს მოხერხდა, — თქვა მან, — ეს იქნება წინ გადადგმული გამამხნევებელი ნაბიჯი, რომ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის დამყარდეს უფრო მეგობრული ურთიერთობა და ჩვენ შეეძლებთ განვიხილოთ სხვა პრობლემები“.

უპასუხა რა კითხვაზე, თუ რა მდგომარეობაშია კოსმოსის კვლევის ამერიკული პროგრამამო, პრეზიდენტმა თქვა, ჩემი აზრით, შეერთებულ შტატებს ამ დარგში პირველი ადგილი არ უკავიათო.

ატომური ენერგიის საერთაშორისო ეკონომიკური ეფექტიანობა

ჯერ კიდევ საკავშირო ჩემპიონატების გარიერაკიდან ჩვენი ქვეყნის ამ ორი მოწიაგე კოლექტივის ბრძოლაში შესანიშნავი ტრადიცია შეიქმნა და მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ელფერი. მართალია, წელს დინამოელთა მგზავრობა სატურნირო ცხრილში სახარბიელო არ არის, მაგრამ მათ გულშემატკივრებს იმედი არ დაუკარგავთ და გამარჯვების რწმენით მოვიდნენ სტადიონზე.

ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელთან — მოსკოვის „სპარტაკთან“ პაექრობამ გამოავლინა ჩვენი ბუნდის პოტენციალი, მობილიზებულობა, კოლექტიური თამაშის ალმავლობა. სამართლიანობა მოითხოვს ამ ანსამბლში აღინიშნოს დიდი ხნის შემდეგ ვ. ბარქაია გამოჩენა, მისი ჭეშმარიტად გააზრებული თამაში.

ბრძოლის პირველი წუთები სპარტაკელებს კარგს არაფერს უქადდა. დინამოელთა აწყობილ თამაშს, განუწყვეტელ კონტროლს მოედნის შუაგულისადმი, ყოველი რეიტმულ მოქმედებას „სპარტაკის“ ძლიერმა დაცვამ ვერ გაუძლო, და მის რიგებში ბზარი გაჩნდა. და აი მე-11 წუთზე ერთ-ერთი კარგი კომბინაცია, მასირებული იერიში სპარტაკელთა კარზე ბარქაიას დარტყმით და გოლით დაგვირგვინდა.

ეს იყო დინამოელთა მეათასე, საიუბილეო გოლი საკავშირო კირეულობებში.

ამ ბურთმა სპარტაკელები თითქოს გამოაფხიზლა, მათ კონტრთამაშს უფრო ორგანიზებული სახე მიეცა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ბარჯვენა გარემარბი კორშუნოვი და ცენტრფორვარდი სვეიდოვი. პირველთან ხოჭოლავას გაუჭირდა ბრძოლა, სვეიდოვი კი დაჯაბნა ხუთცილავამ. დინამოელთა ოდნავ შეცდომასაც კი სტუმრები უნაკლოდ იყენებდნენ, რასაც საპასუხო გოლი მოჰყვა. ეს მოხდა მეხუთმეტე წუთზე. მარჯვენა ფრთიდან გათამაშებულ კომბინაციას ალღო ვერ აუღეს მასპინძლებმა და ფალინის მიერ მიწოდებული ბურთი პეტროვმა დინამოელთა კარში გაიტანა — 1:1.

ასეთმა ანგარიშმა ბრძოლა უფრო დაძაბული გახადა. შეიძლება ითქვას, რომ თამაშის გარკვეულ მონაკვეთებში სტუმრები ინარჩუნებდნენ როგორც ტერიტორიულ, ისე ტექნიკურ უპირატესობას. შესვენებამდე რამდენიმე წუთით ადრე ასეთი სურათის მოწმენი ვიყავით — ერთ-ერთი კომბინაციისა და დარტყმის შემდეგ მეკარე ივაკინი ორივე ფეხით იდგა კარის ხაზს უკან, ბურთი კი მკერდით წინ გამოწეულს ხელში ეჭირა. მე ვფიქრობ, რომ ბურთი ხაზგარეთ მდგომარეობაში იყო. ამიტომ მსაჯმა იგი არ ჩაითვალა. ისიც უნდა ითქვას, რომ არბიტრი კარგად უფრო ახლოს იდგა, ვიდრე თვითეული ჩვენგანი და, ცხადია, მას უფრო შეეძლო დაენახა, იყო თუ არა გოლი.

მეორე ტაიმის დასაწყისში სპარტაკელებმ აქტიურად მოქმედდნენ და თამამმაც მაპინძელთა მხარეზე გადმოინაცვლა. ვერ იქნა და ვერ შეეწყო ანსამბლს იამანიძე. მისი თამაში, შეიძლება ითქვას, გაუგებარი იყო. ამიტომ სავსებით სწორად მოიქცა მწვრთნელი იაკუშინი, როდესაც იგი გ. სიტინავათი შეცვალა.

ამ სიახლემ დინამოელებს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. გ. სიტინავა კარგად ასრულებდა როგორც დაცვის, ისე იერიშებში მონაწილეობის ფუნქციებს, რამაც სასურველი შედეგი გამოიღო. 64-ე წუთზე მან მოულოდნელად დაარტყა სპარტაკელთა კარში. მეკარე ივაკინმა უხერხული ნახტომით მოიგერია ბურთი, მაგრამ იქვე გაჩნდა მატჩის გმირი ბარქაია და მეორე გოლი გაიტანა.

ბოლო წუთებში, გარდა მკარისა, ათივე სპარტაკელი ჩვენს საჯარიმო მოედანზე არ იცვლიდა ფეხს, მაგრამ დინამოელთა მცველებმა და მეკარე ლეჟავამ უვნებელყვეს კარი. ეს მძიმე მატჩი დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით 2:1. დინამოელებმა მეტად საჭირო ორი ქულა მოიპოვეს და ორი ადგილით გადაინაცვლეს წინ სატურნირო ცხრილში.

მ. ბერძენიშვილი.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

... 3. ბარქაიას ... ბიბლიოთეკა

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 2:1 (1:1). თბილისი, 15 ივნისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. მსაჯი — ა. ალოვი (ლენინგრადი).

„დინამო“ — ლეჟავა, ბ. სიჭინავა, ხუროცილავა, ხოჭოლავა, ზეინკლიშვილი, ხელაძე, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, იამანიძე (გ. სიჭინავა), დათუნაშვილი; „სპარტაკი“ — ივაკინი, ნოლდატოვი, კორნეევი, კრუტიკოვი, ჩისტიაკოვი, ივანოვი, კორშუნოვი, პეტროვი, სვეიდოვი, ფალინი, ილინი (ადამოვი).

სუვანა ფუმა: მეგობრული ურთიერთობა ყველა ქვეყანასთან

ბონი, 14 ივნისი. (საკდესი). ლაოსის პრემიერ-მინისტრმა სუვანა ფუმამ ინტერვიუ მისცა დასავლეთ გერმანიის გაზეთ „ფრანკფურტერ რუნდშაუს“ კორესპონდენტს. მან განაცხადა, რომ ლაოსი ეცდება კარგი ურთიერთობა დაამყაროს ყველა ქვეყანასთან. „რამდენადაც ლაოსი ნეიტრალურია, — განაცხადა სუვანა ფუმამ, — ჩვენ გვინდა მეგობრული ურთიერთობა გვქონდეს ყველა ქვეყანასთან. ამ ქვეყნების ურთიერთობა მათი პირადი საქმეა. ჩვენ არ გვეხება ის, რაც ხდება ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას შორის, დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიას შორის“. გაზეთი ამასთან დაკავშირებით წერს, რომ სუვანა ფუმას განზრახული აქვს ცნოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა.

პრემიერ-მინისტრი შეეხო ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას ლაოსის მიმართ და ხაზგასმით აღნიშნა „დარწმუნებული ვარ, რომ შეერთებულ შტატებს გულწრფელად აქვთ განზრახული დადასტურონ თავიანთი პოლიტიკა და ამიერიდან მხარი დაუჭირონ ნამდვილად დამოუკიდებელ ნეიტრალისტურ მთავრობას ლაოსში“.

სუვანა ფუმამ შემდეგ გამოთქვა აზრი, რომ საჭიროა შემცირდეს ლაოსის არმიის რიცხვი. მან განაცხადა, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოს არ ესაჭიროება ასეთი მძლავრი შეიარაღებული ძალები და რომ ლაოსის უშიშროებისა და ნეიტრალიტეტის საუკეთესო გარანტიაა „14 სახელმწიფოს წარმომადგენელთა ჟენევის თათბირის ერთსულოვანი გადაწყვეტილებანი“.

სუვანა ფუმამ ხაზი გაუსვა, რომ მისი მთავრობის წინაშე დასახული დიდმნიშვნელოვანი ამოცანები საშინაო პოლიტიკის დარგში, კერძოდ, ეკონომიკის განვითარებაში და იმედი გამოთქვა, რომ სხვა სახელმწიფოები — როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის სახელმწიფოები, დაეხმარებიან ლაოსს ეკონომიური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში.

ვიენა, 14 ივნისი. (საკდესი). როგორც სინხუას საგენტოს კორესპონდენტი ლაოსიდან იუწყება, დღეს ლაოსის მეფესთან შეხვედრის შემდეგ სიენგ-კუანგში დაბრუნდა ლაოსის მთავრობის პრემიერი პრინცი სუვანა ფუმა.

სიტყვა წარმოთქვა რა აეროპორტში, პრინცმა სუვანა ფუმამ განაცხადა, რომ მეფემ მოისმინა მისი მოხსენება და სთხოვა 19 ივნისამდე დაამთავროს კოალიციური მთავრობის შედგენა. სუვანა ფუმამ აგრეთვე განაცხადა, რომ იგი და მისი კაბინეტის ყველა წევრი ორშაბათს, 18 ივნისს, გაემგზავრებიან ვიენტიანში, რათა ფიცი დადონ.

„პრინცმა“ სუვანა ფუმამ განაცხადა, რომ თითონ ჩაუდგება სათავეში კოალიციური მთავრობის დელეგაციას, რომელიც გაემგზავრება ჟენევაში ლაოსის შესახებ შეთანხმების ხელმოსაწერად.

გლეხთა შეტაკება

რიო-დე-ჟანეირო, 15 ივნისი. (საკდესი). გოიასის შტატში, პორანგატუსა და ტრომბასის რაიონებში მოხდა გლეხთა და ლატიფუნდისტთა სკრიოხული შეიარაღებული შეტაკება, რომელშიც მონაწილეობდა 200 გლეხი და 80 მიწათმფლობელი. როგორც იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრმა ალფრედო ნასერმა განაცხადა, შეტაკების დროს დაბოცეს ექვსი კაცი, ბევრი დაიჭრა. მინისტრმა აღნიშნა, რომ ამ რაიონებში შეიქმნა „მეტად სერიოზული მდგომარეობა“. შტატების ხელისუფლებმა იქ ჯარები გაგზავნეს.

საღი მოწოდება

ბრიუსელი, 15 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „დე ლინი“ მოუწოდებს ბელგიის მთავრობას უარყოს შეერთებული შტატების მიერ თავსმოხვეული პოლიტიკა, რომელიც არ შეესაბამება მსოფლიოს ხალხთა მისწრაფებებს.

სტატიაში გამოთქმულია აზრი, რომ თვით ბელგიისა და მსოფლიოს ყველა ხალხის ინტერესებისათვის ბელგიის მთავრობა ბრძად არ უნდა გაჰყვეს ნატოს მესვეურთა აგრესიულ კურსს და ყოველი ღონე იხმაროს, რათა ხელი შეუწყოს საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებას.

... „ვ“ კლასის გუნდების ასპარეზობა

ფოთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „კოლხიდის“ და ჯამბულის „მეტალურგის“ გუნდები. მატჩის შედეგია ფრე — 0:0.

რუსთავში თამაშობდნენ „მეტალურგისა“ და ბათუმის „დინამოს“ გუნდები. გაიმარჯვეს რუსთაველ ფეხბურთელებმა ანგარიშით 2:0.

მინსკში თბილისის „ლოკომოტივმა“ დაამარცხა მინსკის სკა-ს გუნდი 2:0.

გომელში ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ მოუგო სოხუმის „დინამოს“ 2:1.

რედაქტორი

დ. მეველიშვილი.

... ბაზელ-ბერლინ-ბონ-ბრიუსელ-ლონდონ-ნიუ-იორკ-ტოკიო

... ცხოვრება

ბარიზი, 15 ივნისი. (საკდესი). ბარსელონაში (ესპანეთი) დაეპატიმრეს ოთხი მუშა, რომლებსაც პოლიცია, რამდენიმე კვირას დაეძებდა იმასთან დაკავშირებით, რომ ეს მუშები აქტიურ როლს ასრულებდნენ ამასწინანდელი გაფიცვების დროს. დაპატიმრებულ მუშებს სამართალში მისცემენ „ამბოხების“ ბრალდებით.

ტოკიო, 15 ივნისი. (საკდესი). კოკისპირული წვიმების შედეგად იაპონიის ტერიტორიის დიდ ნაწილზე და წვიმებით გამოწვეული წყალდიდობის გამო იაპონიის მოსახლეობამ დიდი ზარალი განიცადა.

დღეს აქ გამოქვეყნებული მონაცემებით, უკანასკნელ ორ კვირაში დაინგრა ან წყალმა დაფარა იაპონიის სხვადასხვა რაიონში 18 ათასამდე საცხოვრებელი სახლი, წალეკილია გზატკეცილები 860 ადგილას, წყალმა წაიღო 48 ხიდი, დაინგრა 100 ჯებირი, 570-ზე მეტ ადგილას მთის გზებზე ჩამოწვა ზვავი. დაღუპა და უკვალოდ დაიკარგა 8 კაცი, მძიმედ დაშავდა და დაიჭრა 16 კაცი.

ვაშინგტონი, 15 ივნისი. (საკდესი). ატომური ენერგიის კომისიამ გამოაცხადა, რომ შეერთებული შტატების მიერ დაგეგმილი ატომური იარაღის აფეთქება დიდ სიმაღლეზე კუნძულ ჯონსტონის რაიონში განხორციელდება 18-ივნისს. კომისიამ განაცხადა, რომ აფეთქებას განახორციელებენ „რამდენიმე ასეულ კილომეტრ“ სიმაღლეზე.

ალვირახსნილი რევანშიზმი

ბონი, 14 ივნისი. (საკდესი). აღვირახსნილი რევანშიზმის ახალი ტალღა მოედო ამ უკანასკნელ დღეებში დასავლეთ გერმანიას. პომერანიის ყოფილ მცხოვრებთა თავყრილობისა და სუდეტელ გერმანელთა „შეკრების“ შემდეგ ახლა მიუნხენში გაიმართა სილეზიის „სამხარეო კრების“ სხდომა. „სამშობლოს უფლებისა“ და „თვითგამორკვევის უფლების“ თვალთმაქცური ფრთხოვნების ნიღბით იქ აშკარა პროპაგანდა წარმოებდა ომის შემდეგ ევროპაში დაწესებული საზღვრების შეცვლისათვის.

„სილეზიის სამხარეო კრების“ თავმჯდომარემ დომსმა ამ რევანშისტულ ორგანიზაციას უწოდა „სილეზიის პოლიტიკური წარმომადგენლობა“. „სამხარეო კრების“ ამოცანაა, განაცხადა დომმა, — მთელი ძალებით იბრძოლოს სილეზიის დაბრუნებისათვის. იგი მოითხოვდა, არავითარ გარემოებაში არ ვთქვათ უარი „ჩვენს სამშობლოზეო“. მიღებულ რეზოლუციაში მიუნხენის თავყრილობის მონაწილენი აცხადებენ, რომ არასოდეს არ იტყვიან უარს სილეზიაზე და მოითხოვენ აღმოსავლეთის ოლქებზე „სუვერენულ უფლებათა“ მინიჭებას.

... ...